მწვანე ალტერნატივა

წყალი - პრეზიდენტის სასახლიდან ჩვენს ოჯახამდე, ანუ "პრივატიზება ქართულად"-3

თბილისი, 2011

გამოცემა მომზადებულია ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI-ZUG) ფინანსური მხარდაჭერით. ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მის ავტორთა მოსაზრებებს და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტის შეხედულებათა ამსახველად.

ეს გამოცემა წარმოადგენს ასოციაცია მწვანე ალტერნატივას საკუთრებას. დაშვებულია გამოცემის გამრავლება არაკომერციული მიზნებისათვის, პირველწყაროს მითითებით.

ავტორი: ნინო გუჯარაიძე
რედაქტირება: ქეთი გუჯარაიძე

მწვანე ალტერნატივა განსაკუთრებულ მადლობას უხდის ქალბატონ ირმა მახათაძეს ანგარიშში აღწერილი სასამართლო დავებისას ორგანიზაციის ინტერესების დაცვაში დახმარებისათვის.

მწვანე ალტერნატივა
თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართული
ტელ: 2 22 38 74; 2 29 27 73; ფაქსი: 2 22 38 74
greenalt@greenalt.org; www.greenalt.org

წყალი - პრეზიდენტის სასახლიდან ჩვენს ოჯახამდე

ანოტაცია

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით და ქვეყანა არ განიცდის რესურსის ნაკლებობას წყალზე არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; თუმცა, ქვეყნის ტერიტორიაზე რესურსის არათანაბრი გადანაწილება და წყალმომარაგების სისტემების გაუმართაობა, ზოგიერთ შემთხვევაში კი, არარსებობა, მნიშვნელოვანად ზღუდავს სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობას. ასევე, საქართველოს წყალმომარაგების სფეროში ერთ-ერთ უმძაფრეს პრობლემას სასმელი წყლის ხარისხი წარმოადგენს.

2007-2008 წლებში მწვანე ალტერნატივა თვალს ადევნებდა თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების სისტემების პრივატიზების პროცესს. 2008 წლიდან დღემდე კი, ორგანიზაცია ცდილობს მონიტორინგი გაუწიოს პრივატიზების ხელშეკრულებით საწარმოების ახალი მფლობელის მიერ წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესებისათვის აღებული ვალდებულების შესრულებას. ამ ანგარიშში მკითხველი გაეცნობა მწვანე ალტერნატივას მონიტორინგის შედეგებს, რომელიც ნათლად ასახავს ქვეყანაში წყალმომარაგების სისტემებისა და სასმელი წყლის ხარისხის შესახებ მოქალაქეთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას.

სასმელი წყლით მომარაგების სისტემებისა და სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით არაერთი პროექტი ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები ხშირად მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობს, პროგრესი შეიმჩნევა და სიტუაციის გამოსწორებისათვის სახელმწიფოს მონდომება არ შემოიფარგლება დაპირებებით.

რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა ამ სფეროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით. წყალთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უფლება უგულვებელყოფილია გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე; ხოლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზება, ხშირად სასამართლოსთვის მიმართვის გზითაც კი, შეუძლებელია.

ანგარიშის პირველ თავში წარმოდგენილია თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების სისტემების პრივატიზაციის ხელშეკრულების გასაიდუმლოების ისტორია და აღწერილია ხელშეკრულების მოპოვებისათვის მწვანე ალტერნატივას მცდელობები. ანგარიშის მეორე თავში მკითხველი გაეცნობა თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების სისტემების გასხვისება-გაუმჯობესებისათვის პრეზიდენტის გამოქვეყნებულ და გასაიდუმლოებულ განკარგულებებს. წყალმომარაგების სისტემების პრივატიზების პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ეთმობა ანგარიშის მესამე თავი; ხოლო მეოთხე თავში, მკითხველი შეიტყობს თუ როგორ აკმაყოფილებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საკუთარი ვალდებულებებისა და მომხმარებლების უფლებების უგულვებელყოფის ფასად, წყალმომარაგების კომპანიების მოთხოვნებს. ანგარიშის მეხუთე თავი ეთმობა რუსთავის, მცხეთისა და თბილისის წყალმომარაგების სისტემების მფლობელი კომპანიის საქმიანობის კანონთან და ოპერირების კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობის საკითხებს. ანგარიშის ბოლო, მეექვსე თავში კი, წარმოდგენილია დასკვნები და რეკომენდაციები იმ ღონისძიებების

შესახებ, რომელიც სახელმწიფომ უნდა გაატაროს წყალზე ადამიანის უფლების დაცვისა და ზოგადად, ამ სფეროში გამჭირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის დამკვიდრებისათვის.

კერძოდ, მწვანე ალტერნატივას მიაჩნია, რომ:

1. უნდა გადაიხედოს საჯარო უწყებების მიერ საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის პრაქტიკა; აღმოიფხვრას ნებისმიერი მოთხოვნის პასუხად საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებაზე ბრმა თანხმობის მიცემის დამკვიდრებული პრაქტიკა;
2. საჯარო უწყებებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება - ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელონ გასაიდუმლოებული დოკუმენტის კომერციულ ღირებულებაზე და შეადარონ ინფორმაციის გასაიდუმლოებითა და გაცემით გამოწვეული ზიანი;
3. სახელმწიფო უწყებებმა, უნდა დაიცვან საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების კანონით დადგენილი წესი; გასაიდუმლოებული დოკუმენტის გონივრულ ფარგლებში გამოცალკევებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა ქვეყნდებოდეს;
4. უნდა გადაიხედოს ნასყიდობის ხელშეკრულების მუხლით ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოების პრაქტიკის კანონიერება;
5. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს საჯარო მოხელეებისა და მოსამართლეების ცოდნის გაღმავება გარემოს დაცვის საფუძვლებში და გარემოსდაცვით სამართალში;
6. ქვეყანაში წყალზე ადამიანის უფლების რეალიზების შესაძლებლობების შექმნისათვის, სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-15 ზოგად კომენტარში განხილული ღონისძიებების გასატარებლად.

სარჩევი

ანოტაცია **1**

შესავალი **5**

1. წყალმომარაგებისა და წყალარინების გაუმჯობესებისათვის დადებული შეთანხმება საიდუმლოა **8**

1.1 დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში *10*

1.1.1 მწვანე ალტერნატივას პოზიცია: რატომ უნდა იყოს ხელშეკრულება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი 11

1.1.2 ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არგუმენტები: რატომ არ უნდა იყოს ხელშეკრულება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი 15

1.1.3 სასამართლოს მიმდინარეობისას გამორკვეული გარემოებები 16

1.1.4 საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: ხელშეკრულება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს 20

1.2 სააპელაციო სასამართლო: „ვეთანხმებით წინა გამომსვლელს“ *22*

1.3 დავა უზენაეს სასამართლოში *23*

1.5. ისტორია გრძელდება *26*

თავი 2. საქართველოს პრეზიდენტის ღია და ფარული განკარგულებები თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის **27**

2.1 საპროტესტო აქციების ფონზე გამოცემული გამოუქვეყნებელი განკარგულებები *27*

2.2 პრეზიდენტის გამოქვეყნებული განკარგულება *29*

2.3 პრეზიდენტის შემთხვევით გამჟღავნებული განკარგულება *30*

2.4 პრეზიდენტის „ჯიუტად“ გასაიდუმლოებული განკარგულება *31*

2.4.1 განკარგულების მოპოვების მცდელობა 33

2.5 პრეზიდენტის განკარგულებების გასაიდულოების შესაძლო მიზეზები *34*

თავი. 3 რა გაკეთდა რუსთავის, მცხეთისა და თბილისის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის? **35**

3.1. მცდელობა I - “გაფუჭებული ტელეფონი“ *35*

3.2 მცდელობა II - საიდუმლოა შეთანხმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი *37*

3.2.1 ეკონომიკისა და მდგრადი გავითარების სამინისტროს პასუხი 38

3.2.2 საქალაქო სასამართლო: არ შექმნილი ინფორმაციის გასაიდუმლოებაც შესაძლებელია! 42

3.2.3 სააპელაციო სასამართლო: 45

3.2.4 უზენაესი სასამართლო ტრადიციას არ არღვევს 45

3.2.5 თბილისის მთავრობა განმარტებებს მხოლოდ სასამართლოს აძლევს 46

4. სემეკ-ი დილემის წინაშე: კანონი, თუ კომპანიის ინტერესები? **49**

5. ცოტა რამ კომპანიის პრაქტიკის შესახებ... 52

5.1 ინფორმაცია მომხმარებელთათვის... 52

5.2 წყალმომარაგების სისტემაში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების წესი და პრაქტიკა... 53

5.3 მრიცხველები: დაუსრულებელი დავა... 54

5.3.1 სემეკის დადგენილება ... 55

5.4 მცხეთის წყალი - ვალდებულებების მუნიციპალიტეტზე გადაბარების მცდელობა... 57

5.4.1 საჯარო განხილვა ... 58

5.4.2 პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების „განახლებული“ ანგარიში... 59

5.4.3 კომპანიის მცდელობამ ამჯერად არ გაამართლა ... 62

6. დასკვნები და რეკომენდაციები... 63

შესავალი

წყალი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი და ამავდროულად, შეზღუდული ბუნებრივი რესურსია. დედამიწაზე ჯერ კიდევ არის ადამიანების პირადი და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საკმარისი სუფთა წყალი, მაგრამ პლანეტაზე წყლის რესურსების არათანაბარი განაწილება, მტკნარი წყლის მოპოვების სისტემების ნაკლებობა, მიწისქვეშა წყლების დაბინძურება და წყალმოამარგების ქსელების გაუმართაობა ან არარსებობა, ზღუდავს საკმარისი ოდენობის უსაფრთხო წყალზე ადამიანების ხელმისაწვდომობას.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეფასებით, 1.1 მილიარდზე მეტ ადამიანს არ აქვს ხელმისაწვდომობა უსაფრთხო სასმელ წყალზე; 2.6 მილიარდზე მეტი ადამიანი განიცდის აუცილებელ სანიტარულ პირობებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობას; 2.3 მილიარდი ადამიანი კი, ყოველწლიურად ავადდება წყლისმიერი დაავადებებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცივილიზებული სამყარო შეთანხმდა, რომ უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარულ პირობებზე ხელმისაწვდომობა დღეისათვის ადამიანის ერთ-ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის უფლებაა.

წყალზე ადამიანის უფლება აღიარებულია არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით, მათ შორის შეთანხმებებით, დეკლარაციებით და სტანდატებით.ადამიანის ამ უფლების ყველაზე დეტალური და ყოვლისმომცველი განმარტება წარმოდგენილია გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე 1966 წელს მიღებული „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“[1] საერთაშორისო პაქტის მე-15 ზოგად კომენტარში, რომლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს საკმარისი ოდენობის, უსაფრთხო, ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომი წყალი, როგორც პირადი, ისე საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის“.

პაქტის ამ განმარტების თანახმად, წყალი პირველ რიგში უნდა განვიხილოთ, როგორც სოციალური და კულტურული სიკეთე და არა როგორც ეკონომიკური სარგებელის წყარო. წყალზე ადამიანის უფლების რეალიზების ფორმა უნდა იყოს მდგრადი და ქმნიდეს არსებული და მომავალი თაობების უფლების რეალიზების შესაძლებლობას. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სიტუაციაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, წყალზე უფლების რეალიზაციისათვის წყლის ადექვატურობა შესაძლებელია განსხვავებული იყოს, მაგრამ ქვემოთ მოყვანილი ფაქტორები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა სიტუაციაში:

ა. არსებობა - წყალმომარაგება ყველასათვის უნდა იყოს უწყვეტი და საკმარისი პირადი და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამოსაყენებლად;

ბ. ხარისხი - თითოეული ადამიანის მიერ პირადი და საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის აუცილებელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო;

გ. ხელმისაწვდომობა - წყალი და წყალმომარაგების სისტემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ხელმისაწვდომობა მოიცავს შემდეგ ოთხ ასპექტს:

I. ფიზიკური ხელმისაწვდომობა;
II. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა;
III. არადისკრიმინაციულობა; და
IV. <u>ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.</u>

[1] 2011 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით პაქტი, რატიფიცირებულია 160 ქვეყნის მიერ. საქართველო პაქტს შეუერთდა 1994 წელს. პაქტის ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1483577&publication=0

პაქტის მონაწილე ყველა ქვეყანა (მათ შორის, საქართველო) ვალდებულია შეიმუშავოს წყალზე ადამიანის უფლების უზრუნველყოფისათვის ეროვნული სტრატეგია ან მოქმედებათა გეგმა და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები წყალთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში, სტრატეგიისა და პოლიტიკის ამსახველ დოკუმენტებში, პაქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, თითოეული ადამიანისა და ადამიანთა ჯგუფის უფლება - მონაწილეობდეს იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მათ მიერ წყალზე უფლებით სარგებლობაზე, უნდა გახდეს წყლის რესურსებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოლიტიკის, პროგრამის, სტრატეგიისა და გეგმის განუყოფელი ნაწილი. თითოეულ ადამიანს და ადამიანთა ჯგუფს უნდა ჰქონდეს სრული და თანაბარუფლებიანი ხელმისაწვდომობა წყლის რესურსებზე, წყალმომარაგების სისტემებზე, ისევე როგორც წყალთან (როგორც გარემოს ელემენტთან) დაკავშირებულ იმ ინფორმაციაზე, რომელსაც ფლობენ სახელმწიფო უწყებები ან მესამე მხარეები.

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით და ქვეყანა არ განიცდის რესურსის ნაკლებობას წყალზე არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; თუმცა, ქვეყნის ტერიტორიაზე რესურსის არათანაბრი გადანაწილება (უპირატესად თავმოყრილია საქართველოს დასავლეთ ნაწილში, მაშინ, როცა აღმოსავლეთის რეგიონები ხშირად წყლის მწვავე ნაკლებობას განიცდიან) და წყალმომარაგების სისტემების გაუმართაობა და ზოგიერთ შემთხვევაში კი, არარსებობა, მნიშვნელოვანად ზღუდავს სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობას.

სასმელი წყლის ხარისხი ერთ-ერთ უმძაფრეს პრობლემას წარმოადგენს საქართველოში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით[2], *„სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ქვეყნის მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების ორგანიზაციაში, კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლის დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი, როგორც წყალსადენის გამანაწილებელ ქსელში, ასევე სათავე ნაგებობებზე. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აღნიშნება ფოთის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ახალციხის, დმანისის, ლენტეხის, ამბროლაურის, ოზურგეთის, ბაღდათის, წყალტუბოს, ზესტაფონის რაიონებში. ამრიგად, მოპოვებული მასალების ანალიზით ირკვევა, რომ ქვეყანაში დღეისათვის მოქმედი წყალმომარაგების სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ეპიდემიური თვალსაზრი-სით უსაფრთხო, ქიმიური შემადგენლობით უვნებელ და ორგანოლეპტიკური თვისებებით კეთილსასურველი სასმელი წყლის მოსახლეობისათვის მიწოდებას. ამასთან, წყალმომარაგების წყაროების ბუნებრივი სიუხვის ფონზე პრობლემა აქტუალურია საქართველოს თითქმის ყველა ქალაქისა და რაიონისათვის“.*

უნდა აღინიშნოს, რომ სასმელი წყლის მომარაგების სისტემებისა და სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით არაერთი პროექტი ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები ხშირად მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობს, პროგრესი შეიმჩნევა და სიტუაციის გამოსწორებისათვის სახელმწიფოს მონდომება არ შემოიფარგლება დაპირებებით.

---

[2] სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ „გარემოს მდგომარეობის შესახებ“ ეროვნული მოხსენების მომზადებისათვის მიწოდებული ინფორმაცია, 2010 წლის 7 ივნისის წერილი http://soegeorgia.blogspot.com/p/blog-page.html; იგივე შინაარსის ინფორმაცია წარმოდეგნილია „საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“, 2009 წლის ეროვნულ მოხსენებაში.

რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა, ამ სფეროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით. წყალთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უფლება უგულვებელყოფილია გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე; ხოლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზება, ხშირად სასამართლოსთვის მიმართვის გზითაც კი, შეუძლებელია.

2007-2008 წლებში მწვანე ალტერნატივა თვალს ადევნებდა თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების სისტემების პრივატიზების პროცესს. 2008 წლიდან დღემდე კი, ორგანიზაცია ცდილობს მონიტორინგი გაუწიოს პრივატიზების ხელშეკრულებით საწარმოების ახალი მფლობელის მიერ წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესებისათვის აღებული ვალდებულების შესრულებას. ამ ანგარიშში მკითხველი გაეცნობა მწვანე ალტერნატივას მონიტორინგის შედეგებს, რომელიც ნათლად ასახავს ქვეყანაში წყალმომარაგების სისტემებისა და სასმელი წყლის ხარისხის შესახებ მოქალაქეთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას.

1. წყალმომარაგებისა და წყალარინების გაუმჯობესებისათვის დადებული შეთანხმება საიდუმლოა

2007 წლამდე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო წყალსადენის და საკანალიზაციო მეურნეობის პრივატიზება დაუშვებელი იყო. 2007 წლის 11 ივლისს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებით, წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების პრივატიზება, სხვა ე.წ. “სტრატეგიული ობიექტების”[3] მსგავსად, შესაძლებელი გახდა. აღნიშნული ცვლილების განხორციელებიდან ორ კვირაში, 2007 წლის 25 ივლისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და ქ. თბილისის მერიამ ერთობლივად გამოაცხადეს „ინტერესთა გამოხატვა“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ “ჟინვალჰესის”, ქ. თბილისისა (შპს „თბილისის წყალი“) და ქ. მცხეთის წყლით მომარაგების (შპს „მცხეთაწყალკანალის“) სისტემების და ქ. გარდაბნის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის (შპს „საქწყალკანალი“) გასხვისების მიზნით. კანონის მოთხოვნათა მნიშვნელოვანი დარღვევებით[4] ჩატარებული “ინტერესთა გამოხატვის“ პროცესის შედეგად, 2007 წლის 22 ოქტომბერს გამარჯვებულად დასახელდა - შვეიცარიაში რეგისტრირებული კომპანია "მულტიპლექს სოლუშენსი".

გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გაკეთებულ ოფიციალურ განაცხადში აღნიშნული იყო, რომ „შვეიცარიული“ კომპანია შესაძენ ობიექტებში <u>85 662 000 აშშ დოლარს</u> გადაიხდის, განახორციელებს <u>350 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციას</u> და 2008-2009 წლებში უცვლელად შეინარჩუნებს წყლის ტარიფს. გარდა ამისა, "მულტიპლექს სოლუშენსი" ვალდებულებას იღებდა, უზრუნველეყო დედაქალაქის მოსახლეობისთვის 24 საათიან უწყვეტ წყალმომარაგება, წყლის დაბალი ტარიფი და მაღალი ხარისხი.

ვინაიდან საწარმოები პირდაპირი მიყიდვის წესით უნდა გასხვისებულიყო, გამარჯვებულისათვის საწარმოების გადაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტს უნდა მიეღო და საჭიროების და მიხედვით, პირობებიც დაეწესებინა. საქართველოს პრეზიდენტმა შესაბამის განკარგულებებს[5], 2007 წლის ნოემბერში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისისა

---

[3] ამავე ცვლილებით შესაძლებელი გახდა ისეთი ქონების გასხვისება, როგორიცაა:

- განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა;
- სამობილიზაციო მარაგი, სახელმწიფო რეზერვი, ძვირფასი ლითონების მარაგი;
- სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა;
- სახელმწიფო საფოსტო კავშირის, რადიო-სატელევიზიო მაუწყებლობის, საქალაქთაშორისო-საერთაშორისო სატელეფონო კავშირის, სამთავრობო კავშირის საშუალებები;
- სახელმწიფო სასაფლაოები;
- სასიცოცხლო მნიშვნელობის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები;
- სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული შენობები.

[4] დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მწვანე ალტერნატივას 2010 წლის ანგარიში „„სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად“-2“

[5] „შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილისა და შპს „რუსთავწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის №685 განკარგულება; და „შპს „თბილისის წყლის“ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 100% წილის პირდაპირი მიყიდვის

და მიმდინარე მასობრივი საპროტესტი აქციების ფონზე, პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომამდე ერთი დღით ადრე მოაწერა ხელი.

პრეზიდენტის განკარგულებების გამოცემასთან ერთად, ლოგიკურად, უნდა დაწყებულიყო მყიდველთან შესაბამისი ხელშეკრულებების დადების პროცედურა. მიუხედავად ამისა, განკარგულებების გამოცემიდან ოთხი თვის შემდეგ, 2008 წლის 10 აპრილს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება № 245 „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა მის მიერვე 2007 წლის ნოემბერში გამოცემული აქტები[6] (საწარმოების გასხვისების მიზნით პრეზიდენტის მიერ გამოცემული განკარგულებების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ თავი 2.). პრეზიდენტის ამავე განკარგულებით Multiplex Energy Limited-ს პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა:

1. შპს „რუსთავწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი 10 მილიონ აშშ დოლარად, ყოველგვარი პირობების გარეშე (აღსანიშნავია, რომ „რუსთავწყალკანალი“ არ ყოფილა „ინტერესთა გამოხატვის“ პროცესის საგანი);
2. შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი და შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი 662 ათას აშშ დოლარად;
3. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შპს „თბილისის წყლის“ 100% წილი მყიდველს 85 მილიონი აშშ დოლარად;

განკარგულებით, განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობამ 300 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; ასევე, თითოეულ საწარმოსთან მიმართებაში (რუსთავწყალკანალის გარდა) განისაზღვრა რიგი ვალდებულებები წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტების გაუმჯობესებისათვის;

2008 წლის 14 მაისს გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება №325 “საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს” შორის გასაფორმებელი შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყლის” 100% წილების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ“. მთავრობის განკარგულებით მოწონებულ იქნა, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისის მთავრობას და მეორეს მხრივ, შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს” შორის გასაფორმებელი შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყლის” 100% წილების ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტი; საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ეკატერინე შარაშიძეს მიენიჭა უფლებამოსილება საქარ-თველოს მთავრობის სახელით ხელი მოეწერა ხელშეკრულებისათვის.

2008 წლის 28 მაისს მწვანე ალტერნატივამ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს კახა ბენდუქიძეს მიმართა და მოითხოვა ხელშეკრულების პროექტის ასლი, რომელიც მოწონებულ იქნა

ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №702 განკარგულება.

[6] „შპს „საქწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“ და შპს „რუსთავწყალკანალის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის N 685 და შპს „თბილისის წყლის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის N 702 განკარგულებები.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის N 325 განკარგულებით. მოთხოვნილი დოკუმენტი მწვანე ალტერნატივამ ვერ მოიპოვა, თუმცა გაარკვია, რომ საქართველოს მთავრობის №325 განკარგულების გამოცემის დღესვე ხელშეკრულებას ხელი მოეწერა <u>და რომ ხელშეკრულების სრული ტექსტი, ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლითვე მიჩნეული იყო მყიდველის კომერციულ საიდუმლოდ.</u>

1.1 დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში

საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან და ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან ხელშეკრულების ასლის მოპოვების ერთწლიანი უშედეგო მცდელობის[7] შემდეგ 2009 წლის 22 მაისს მწვანე ალტერნატივამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ამჯერად, სასამართლოს სთხოვა ხელშეკრულების სრული ტექსტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონიერების საკითხის შესწავლა და ხელშეკრულების დოკუმენტის განსაიდუმლოება.

საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო შარაძემ განიხილა.

ათი თვის განმავლობაში სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა შვიდჯერ გადაიდო. გადადების მიზეზი კი ის გახდა, რომ ვერ მოხერხდა დავის მესამე მხარის - „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედის“ - პროცესში ჩართვა. როგორც აღმოჩნდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ ფლობდა ინფორმაცის არც კომპანიის და არც მისი რომელიმე წარმომადგენლის ადგილსამყოფელის შესახებ. სასამართლომ კი ვერ შესძლო საჯარო რეესტრიდან შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება. თუმცა, კომპანიის წარმომადგენლების ვინაობისა და მისამართის შესახებ ინფორმაციის მოძიება საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე მწვანე ალტერნატივამ შეძლო და სასამართლოს გადასცა. საბოლოოდ, სასამართლომ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მესამე მხარის ჩართვა დამატებით სამი გადადებული სხდომის შედეგად შეძლო და საქმის ძირითადი განხილვა სარჩელის შეტანიდან მხოლოდ 1 წლის შემდეგ - 2010 წლის მაისში დაიწყო.

„ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმითედის“ (აღმოჩნდა, რომ „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედმა“ ამასობაში სახელის შეცვლაც მოასწრო) უფლებებს დავაში „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (ყოფილი „თბილისის წყალი“)

„ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმითედი“

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული დოკუმენტების[8] თანხმად, „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი“ დაფუძნდა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე 2007 წლის 16 აგვისტოს, ხოლო 2009 წლის 16 ივნისს კომპანიამ გამოიცვალა სახელწოდება და ეწოდა „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმითედი“.

კომანიის დირექტორები არიან:

- გოჩა მეგრელიძე - 2008 წლის 1 თებერვლიდან;
- ოლეგ შეიკო (Oleg Sheyko) – 2009 წლის 13 ოქტობრიდან;
- მიხაილ ტუზოვი (Mikhail Tuzov) – 2010 წლის 26 მაისიდან.

კომპანიის აქციების მფლობელები არიან:

- Multiplexs Holdings Group Limted – 850 აქცია;
- Sirius Private Equity Fund – 150 აქცია.

[7] დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მწვანე ალტერნატივას 2010 წლის ანგარიში „სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად“-2““

[8] „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2010 წლის 30 დეკემბერს წარდგენილი დოკუმენტი:
https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=225259&app_id=220600

წარმომადგენელი - ბესიკ კობერიძე იცავდა. აღსანიშნავია, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ირწმუნებოდა, რომ არ გააჩნდა მფლობელის საკონტაქტო ინფორმაცია.

საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე მწვანე ალტერნავამ სასამართლოს სარჩელის მოთხოვნათა გაზრდის შუამდგომლობითაც მიმართა. საქმე იმაში იყო, რომ სანამ მწვანე ალტერნატივა კომპანიის წარმომადგენელის შესახებ ინფორმაციის მოძიებას ცდილობდა, ხელშეკრულებაში, რომლის მოპოვებასაც ორგანიზაცია ცდილობდა, ცვლილებები შევიდა. 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება[9], რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ზურაბ პოლოლიკაშვილს საქართველოს მთავრობის სახელით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერის უფლებამოსილებას ანიჭებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის დეკემბერში, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სასამართლოს უმტკიცებდა, რომ უწყებას არ გააჩნდა მყიდველის წარმომადგენელისა ვინაობისა და მისამართის შესახებ ინფორმაცია, ხოლო უწყების ხელმძღვანელი ამ დროს კომპანიასთან ახალ შეთანხმებას აფორმებდა.

მწვანე ალტერნატივამ ახალი შეთანხმების მოპოვებაც სცადა ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან, თუმცა საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის პასუხი ჩვეული იყო - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს მხოლოდ „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისაგან“ წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.

იმის გამო, რომ შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მწვანე ალტერნატივამ სასამართლოს სთხოვა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა და ხელშეკრულების ძირითადი ტექსტის გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლასთან ერთად, ხელშეკრულებაში ცვლილებების ამსახველი შეთანხმების გასაიდუმლოების კანონიერების განხილვა.

2010 წლის 17 მაისს, სარჩელის შეტანიდან ერთი წლის შემდეგ, სასამართლომ დაიწყო საკითხის არსებითი განხილვა.

1.1.1 მწვანე ალტერნატივას პოზიცია: რატომ უნდა იყოს ხელშეკრულება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი

მწვანე ალტერნატივას აზრით, შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყლის” 100% წილების ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების გასაიდუმლოებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და საერთაშორისო შეთანხმების - ორჰუსის კონვენციის მოთხოვნები. ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას კი შემდეგი გარემოებები იძლევა:

[9] საქართველოს მთავრობის განკარგულება №1025 „“შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთა-წყალკანალის”, შპს “საქწყალკანალის”, შპს “თბილისის წყალის” 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ” N1 შეთანხმების პროექტის მოწონებისა და ზურაბ პოლოლიკაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“

1. ხელშეკრულება შეიცავს ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია:

- ხელშეკრულება შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას

შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების პრივატიზება განხორციელდა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის წესით. „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, პირდაპირი მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და შესაბამისი პირობები დაადგინა საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის 10 აპრილის N 245 განკარგულებით „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

აღნიშნული განკარგულების თანახმად, შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილები მყიდველს გადაეცა მთელი რიგი პირობებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. მაგალითისთვის, განკარგულების თანახმად;

- წყლის ხარისხი მუდმივად უნდა შეესაბამებოდეს „ჯანმოს" (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ უნდა იყოს მცხეთაში ამჟამად არსებულზე უარესი;
- გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წელიწადში;
- გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და ახალი საკოლექტორო სისტემა უნდა შეიქმნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წელიწადში;
- წყლის ხარისხი მუდმივად უნდა შეესაბამებოდეს „ჯანმოს" (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ უნდა იყოს ქალაქ თბილისში ამჟამად არსებულზე უარესი;
- ქალაქის წყლით მომარაგება, ძველი საზღვრების ფარგლებში (26.12.06 წლის მდგომარეობით) 2011 წლიდან და შემდეგ უნდა იყოს უწყვეტი (24-საათიანი), მაგრამ 2011 წლამდე არ უნდა იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
- ქალაქის წყლით მომარაგება ახალი საზღვრების ფარგლებში 2015 წლიდან და შემდეგ უნდა იყოს უწყვეტი (24-საათიანი), მაგრამ 2015 წლამდე არ უნდა იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
- უნდა აღმოიფხვრას მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინება, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არაუგვიანეს 2012 წლისა.

ასევე, „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ინვესტორის დახმარებით, შეიმუშავოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების გეგმა, რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ეს ვალდებულება, ასევე მყიდველის ზემოაღნიშნული ვალდებულებები ქონების შემდგომი გამოყენების თაობაზე, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულების[10] თანახმად (თუკი სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილია პირობები, ისინი შეტანილ უნდა იქნეს ნასყიდობის ხელშეკრულებაში), ასახული უნდა იყოს

[10] დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის 1–1/1415 ბრძანებით.

საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება ფლობდეს ინფორმაციას გარემოს მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე მონაცემებს იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ორჰუსის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად კი, გარემოსდაცვითი ინფორმაცია გულისხმობს "წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორიცაა ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;
ბ) ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;
გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები."

შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისათვის" გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულება და თვით პრივატიზების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს გეგმას, რომელიც აუცილებლად მოახდენს გავლენას გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ორჰუსის კონვენციის მიხედვით, <u>ეს დოკუმენტი არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია.</u> შესაბამისად, საჯარო უწყებას არათუ იმის უფლება არ ჰქონდა, რომ გაესაიდუმლოებინა პრივატიზების ხელშეკრულება, არამედ ის, ორჰუსის კონვენციისა[11] და „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის[12] საფუძველზე, ვალდებული იყო, მიეწოდებინა საზოგადოებისთვის ყველა საჭირო ინფორმაცია და უზრუნველეყო საზოგადოების მონაწილეობა აღნიშნული ობიექტის პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

- **ხელშეკრულება შეიცავს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ**

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების წილების პრივატიზება განხორციელდა პირდაპირი მიყიდვის წესით. შესაბამისად, გარიგების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“

[11] მე-7 მუხლი

[12] მე-6 მუხლის "ვ" პუნქტი

დებულების[13] თანახმად, უნდა შეიცავდეს ცნობებს გამყიდველის შესახებ და ინფორმაციას მხარეთა ურთიერთვალდებულებებს ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ. შესაბამისად, შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების გასხვისების შედეგად დადებული ხელშეკრულება უცილობლად შეიცავს ცნობებს საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისის მთავრობის შესახებ და მათი, როგორც ხელშეკრულების მხარეების ვალდებულებებს ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელშეკრულება ასევე შეიცავს ინფორმაციას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესახებ. კერძოდ, მის ვალდებულებას *„თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინვესტორის დახმარებით შეიმუშავოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების გეგმა, რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა".*

2. ხელშეკრულების გასაიდუმლოებისას, არ იქნა დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დადგენილი წესი

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას არ მიაწოდა შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ასლი იმ მოტივით, რომ თავად ხელშეკრულების 14.1 მუხლის შესაბამისად, დოკუმენტი, თითქოსდა, წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის[14] თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას, პირი ვალდებულია მიუთითოს, არის, თუ არა მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია კომერციული საიდუმლოება. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ (მიიჩნიოს ან არ მიიჩნიოს კომერციულ საიდუმლოებად). ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სავარაუდოდ, საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის აღნიშნული წესი არ ყოფილა დაცული, ვინაიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას არ მიაწოდა ნორმატიული აქტის ასლი, რომლის საფუძველზეც მოხდა ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა; მწვანე ალტერნატივასთვის მიცემული ზეპირსიტყვიერი განმარტების თანახმად, გადაწყვეტილება ასახულია თავად ხელშეკრულების ტექსტში „14.1. მუხლის" სახით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად[15], კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ძნელი წარმოსადგენია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში წარმოდგენილია მსგავსი ღირებულების მქონე ინფორმაცია და მითუმეტეს, ხელშეკრულების მთელი ტექსტი იყოს კომერციული ფასეულობის მქონე. აღსანიშნავია,

[13] მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი

[14] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის მე-3 პუნქტი.

[15] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 27^2, პუნქტი 1.

რომ «ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედს" ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა[16] უკავია, შესაბამისად, არათუ ხელშეკრულებაში ვერ იქნება წარმოდგენილი, არამედ საერთოდ ვერ იარსებებს ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მის კონკურენტუნარიანობას. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ხელშეკრულება შეიცავს მთელ რიგ მონაცემებს, რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია, ან უბრალოდ, აზრსაა მოკლებული - მაგალითად, შეძენის პირობები, რომელიც დადგენილია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N 245 განკარგულებით „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" და საჯაროა.

გარდა იმისა, რომ <u>თავად ხელშეკრულების მუხლით დოკუმენტის გასაიდუმლოება ეწინააღმდგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ნორმებს,</u> თუკი ხელშეკრულებაში მართლაც არსებობს მუხლი, რომელიც ითხოვს ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევას, არ არსებობდა თუნდაც ამ კონკრეტული მუხლის (როგორც მთლიანი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის) გასაიდუმლოების საფუძველი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 30-ე მუხლის მიხედვით, *"გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოითხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს".* ამ პრივატიზაციის ხელშეკრულებასთან მიმართებაში კი, კანონი არათუ არ აწესებდა მის გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას, არამედ პირიქით, პირდაპირ ადგენდა, რომ ეს ხელშეკრულება საჯარო უნდა ყოფილიყო. კერძოდ, „გარემოს დაცვის შესახებ" კანონისა[17] და ორჰუსის კონვენციის[18] თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო, მიეწოდებინა საზოგადოებისთვის ყველა საჭირო ინფორმაცია და უზრუნველეყო საზოგადოების მონაწილეობა აღნიშნული ობიექტის პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების (მათ შორის ხელშეკრულების შემუშავების) პროცესში.

1.1.2 ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არგუმენტები: რატომ არ უნდა იყოს ხელშეკრულება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პოზიცია იმის თაობაზე, თუ რატომ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მწვანე ალტერნატივას სარჩელი, მოკლე და ლაკონური იყო. კერძოდ, სამინისტროს წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულების 14.1 მუხლის თანახმად,

[16] „ბაზრის ისეთი მდგომარეობა, სადაც არსებობს საქონლის ერთი გამყიდველი და საქონელს არ გააჩნია სხვა ურთიერთშენაცვლებადი საქონელი", საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისა შესახებ

[17] საქართველოს გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის "ვ" პუნქტი: „მოქალაქეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვით სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღების პროცესში";

[18] გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის) კონვენციის მე-7 მუხლი: „ყოველი მხარე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი პრაქტიკული და/ან სხვა ზომები იმისათვის, რათა საზოგადოებამ გამჭირვალე და სამართლიან ჩარჩოებში მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმების და პროგრამების შემუშავებაში და მიაწოდოს საზოგადოებას საჭირო ინფორმაცია";

ხელშეკრულების მხარეებს არ აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება „წილის“ ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მწვანე ალტერნატივას მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ წერილით მიმართა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს და სთხოვა მოსაზრება ხელშეკრულების ასლის გადაცემასთან დაკავშირებით. მიმართვას მხარეების მხრიდან რეაგირება არ მოყოლია, რაც სამინისტრომ უარად მიიჩნია.

1.1.3 სასამართლოს მიმდინარეობისას გამორკვეული გარემოებები

საქალაქო სასამართლოში პროცესის მიმდინარეობისას მხარეებს მოუწიათ გარკვეულ საკითხებზე განმარტებების გაკეთება. ქვემოთ გთავაზობთ პროცესზე გამოვლენილ მეტად საინტერესო გარემოებებს.

1. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განმარტებით, ხელშეკრულების გასაიდუმლოების პროცედურა არ ეწინააღმდგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ წესს, კერძოდ, დოკუმენტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება; ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ გამოცემულა ცალკე აქტად, მაგრამ წარმოდგენილია ხელშეკრულებაში 14.1 მუხლის სახით.

2. „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმითედის“ წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ კომპანია ფლობს ბუნებრივ მონოპოლიას, მაგრამ მიწისქვეშა კომუნიკაციების ნაწილი არის გარკვეული ფიზიკური პირების საკუთრებაში და ამ პირებისათვის ხელშეკრულების შინაარსის გამჟღავნებამ შესაძლოა კომპანიის კონკურენტუნარიანობას მიაყენოს ზიანი.

აღნიშნულის დამადასტურებელი არც სასამართლოს მოუთხოვია და არც თავად კომპანიას წარმოუდგენია. ამასთან, კომპანიის წარმომადგენლის განმარტება სიმართლესაც რომ შეეფერებოდეს გაუგებარია, როგორ შეუძლია გარკვეული კომუნიკაციების მფლობელ პირს ეკონომიკური კონკურენცია (მეტოქეობა, რომლის დროსაც ეკონომიკური აგენტები ცდილობენ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობა კონკურენტებზე უფრო წარმატებით განახორციელონ, სთავაზობენ რა მომხმარებლებს უკეთეს პირობებს ფასთან, ხარისხთან, შეფუთვასთან, მომსახურების სტანდარტებთან და სხვა ეკონომიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით) გაუწიოს «ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედს”, რომელიც თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მფლობელია.

3. „ჯორჯიან გლობალ უთილითის ლიმითედის“ წარმომადგენლის განმარტებით გაირკვა, რომ ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს კომპანიას, შეეხება მუნიციპალური პროექტების განხორციელების ვალდებულებას.

4. ხელშეკრულებაში გარემოსდაცვითი ინფორმაციის არსებობასთან დაკავშირებით „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმითედის“ წარმომადგენლმა განაცხადა, რომ „ერთადერთი პირობა, რომელიც მეტ-ნაკლებად შეიძლება იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია, მითითებულია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის 245-ე განკარგულებაში და პირდაპირ არის გადატანილი წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში, კერძოდ, წყლის ხარისხი მუდმივად უნდა

შეესაბამებოდეს „ჯანმოს“ ტექნიკურ რეგლამენტს და არ უნდა იყოს თბილისში და მცხეთაში 2009 წლის 14 მაისს არსებულზე უარესი“[19].

5. „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმითედის“ წარმომადგენლის განცხადებით, კომპანია მზად არის გასცეს ნებისმიერი გარემოსდაცვითი ინფორმაცია მწვანე ალტერნატივას მოთხოვნის საფუძველზე.

მწვანე ალტერნატივამ სასამართლოს წარუდგინა ამ განცხადების საპირისპირო გამოცდილების მტკიცებულება. კომპანიას უკვე ჰქონდა ნათქვამი უარი ორგანიზაციისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდებაზე. კერძოდ, „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმითედი“ წინააღმდეგი იყო ეკონომიკური განვითარების სამინიტროს გადაეცა მწვანე ალტერნატივასათვის „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის 245-ე განკარგულებით დადგენილი გარემოსდაცვითი პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

6. სასამართლოს მიმდინარეობისას მწვანე ალტერნატივამ სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთი მოქალაქის მოთხოვნის პასუხად, 2010 წლის 15 აპრილს (ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაციის თანახმად) საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე რიგ საჯარო დოკუმენტენტებთან ერთად განთავსდა საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის გაფორმებელი შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყლის” 100% წილების ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ძირითადი ტექსტი დანართებისა და ხელშეკრულებაში შესული ცვლილების გარეშე.

მწვანე ალტერნატივამ დოკუმენტი დამატებითი მტკიცებულების სახით წარადგინა სასამართლოში და მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის შემცირება. კერძოდ, ორგანიზაცია აღარ ითხოვდა ხელშეკრულების ძირითად ტექსტს და ითხოვდა მხოლოდ ხელშეკრულების დანართებისა და ცვლილების შესახებ შეთანხმების გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლას.

7. შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყლის” 100% წილების ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ძირითადი ტექსტზე ხელმისაწვდომობამ ნათელი მოფინა მთელ რიგ გარემოებებს, კერძოდ:

7.1 ხელშეკრულება არა მარტო შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას, არამედ მთელი დოკუმენტი წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას. ამას ამტკიცებდა ხელშეკრულების 7.6. მუხლი „დ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად: *„„მყიდველი“ აცნობიერებს და აღიარებს, რომ „საწარმოების“ და „კომპანიის“ წილების გასხვისების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესება გარემოზე ზიანის მიუყენებლად“* - ანუ, „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედთან“ გაფორმებელი ხელშეკრულება, ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედების (საწარმოების გასხვისების) შესახებ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტია.

7.2 მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების დანართები კვლავ მიუწვდომელი იყო საზოგადოებისათვის, ხელშეკრულების ტექსტში მოხსენიებული დანართების სათაურები მიუთითებდა, რომ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია შეუძლებელია წარმოადგენდეს

[19] 2010 წლის 17 მაისის სასამართლო სხდომის ოქმი, საქმე #3/1285-09 წ

კომერციულ საიდუმლოებას. კერძოდ, ხელშეკრულების ძირითადი ტექსტის თანახმად, დანართებში წარმოდგენილია შემდეგი სახის ინფორმაცია:

- დანართი 1. - წამოდგენილია ისეთი ზოგადი ინფორმაცია შპს „თბილისის წყლის“, შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალის“ და შპს „მცხეთაწყალკანალის“, როგორიცა: სარეგისტრაციო ნომერი, რეგისტრაციის თარიღი და ადგილი, ოფისის მისამართი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, პარტიორის შესახებ ინფორმაცია - ყველა ის მონაცემი, რომელიც მოთხოვნის გარეშე ხელმისაწვდომი იყო გაყიდვამდე და გაყიდვის შემდეგაც ხელმისაწვდომია საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე;
- დანართი 3. - მოიცავს სახელმწიფოს მიერ გასხვისებული აქტივების ჩამონათვალს - ეს ინფორმაცია მოთხოვნის საფუძველზე ხელმისაწვდომია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;
- დანართი 4. - თბილისის რუკა (ძველი საზღვრები) და დანართი 5. თბილისის რუკა (ახალი საზღვრები). გაუგებარია რის საფუძველზე შეიძლება „ქ. თბილისის რაიონების საზღვრების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვარის N 1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული და გამოქვეყნებული ტოპოგრაფიული რუკა წარმოადგენდეს „ჯორჯიან გლობალ უთილითი ლიმითედის“ კომერციულ საიდუმლოებას;
- დანართი 6. - წარმოდგენილია ინფორმაცია თბილისში და მცხეთაში წყლის ხარისხის შესახებ - ანუ ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ;
- დანართი 7. - წარმოდგენილია ინფორმაცია თბილისის და მცხეთის წყალმომარაგების ხანგრძლივობისა და გრაფიკის შესახებ. ეს ინფორმაციაც არ შეიძლება წარმოადგენდეს ვინმეს კომერციულ საიდუმლოებას, რადგან ასახავს მოქალაქეების წყალზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობას;
- დანართი 8. - წარმოდგენილია შპს “თბილისის წყლის” ბალანსზე რიცხული ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ჩამონათვალი - ეს ინფორმაციაც მოთხოვნის საფუძველზე ხელმისაწვდომია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;
- დანართი 9. - საბანკო გარანტია და მისი გამოყენების წესი. წარმოდგენილია ინფორმაცია, თუ როგორ იქნება გამოყენებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით „მყიდველის“ მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია; სხვა სიტყვებით, რა ღონისძიებებს მიმართავენ სახელმწიფო უწყებები მყიდველის მიერ ისეთი გარემოსდაცვითი ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს, როგორიცაა: (ა) ქ. თბილისის ძველი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში უწყვეტი, 24-საათიანი წყალმომარაგების ვალდებულება; (ბ) ქ. თბილისის ახალი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში უწყვეტი, 24-საათიანი წყალმომარაგების ვალდებულება; (გ) ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდინარე მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრის ვალდებულება; (დ) ქ. თბილისში წყლის ხარისხის „ჯანმოს“ (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის ვალდებულება; (ვ) ქ. მცხეთის უწყვეტი, 24-საათიანი წყალმომარაგების ვალდებულება; (ზ) გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაციის ვალდებულება; (თ) გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციისა და ახალი საკოლექტორო სისტემის შექმნის ვალდებულება; (ი) ქ. მცხეთაში წყლის ხარისხის „ჯანმოს“ (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის ვალდებულება. ამდენად, მე-9 დანართში წარმოდგენილი ინფორმაციაც გარემოსდაცვითია.

7.3 ხელშეკრულების ტექსტი ადასტურებდა, რომ დოკუმენტი შეიცავს ვრცელ ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ - ხელშეკრულების თითქმის ყველა მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოების უფლებებისა თუ ვალდებულებების შესახებ.

7.4 მუნიციპალური პროექტების განხორციელების ვალდებულებას (ანუ, ინფორმაციას, რომლის გამჟავნება კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით ზიანს მიაყენებდა „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმითედს“) ხელშეკრულებაში ეთმობა ერთაბზაციანი პარაგრაფი 11.4[20], რომელსაც შეუძლებელია ჰქონდეს კომერციული ღირებულება.

7.5 დოკუმენტი ადასტურებდა, რომ ხელშეკრულების გასაიდუმლოებისას არ იქნა დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დადგენილი წესი - დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა, რომ მყიდველმა მოითხოვა ხელშეკრულების სრული ტექსტის გასაიდუმლოება, ხოლო ხელშეკრულების ხელმომწერმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (როგორც ამას ამტკიცემდა მოპასუხე). ხელშეკრულებაში მართლაც არის მუხლი 14.1, რომლის თანახმად, „*არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას „წილის“ ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე*“. გარდა იმისა, რომ თავისთავად ეს მუხლი არის უკანონო - რადგან, ითხოვს „წილის“ ნასყიდობასთან დაკავშირებული ნებისმიერი (ანუ, არამარტო კონკრეტული კომერციული საიდუმლოების შემცველი, არამედ, ნებისმიერი საჯარო ინფორმაციის) საკითხის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოებას - აღნიშნული მუხლი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ტექსტის გასაიდუმლოების შესახებ. აღნიშნულ მუხლში წარმოდგენილი შეზღუდვა ეხება წილის გასხვისების შესახებ განცხადებას. ამასთან, ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები ინფორმაციის საიდუმლოებაზე და საერთოდ არ არის ნახსენები კომერციული საიდუმლოება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მწვანე ალტერნატივასათვის დოკუმენტის გაუცემლობის საფუძვლად, ხელშეკრულების 14.1 მუხლის მოთხოვნა არასრულყოფილად და არასწორი ინტერპრეტაციით მოჰყავდა. კერძოდ, ხელშეკრულების მუხლი 14.1-ში აღნიშნულია: „14.2 პუნქტის გათვალისწინებით, არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას „წილის“ ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე“. ხელშეკრულების 14.2 მუხლის თანახმად, კი - ორივე მხარე უფლებამოსილია გააკეთოს განცხადება „წილის“ ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ, თუ ეს მოეთხოვება სათანადო იურისდიქციის მქონე კანონმდებლობით. იმის გათვალისწინებით, რომ დოკუმენტი წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას და შეიცავს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ (ანუ ინფორმაციას რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია), ამასთანავე არ არსებობს ადმინისტრაციულო ორგანოს გადაწყვეტილება დოკუმენტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დოკუმენტი არის საჯარო და ხელშეკრულების 14.2 მუხლის თანახმად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფლებამოსილი იყო დაეკმაყოფილებინა მწვანე ალტერნატივას მოთხოვნა ხელშეკრულების ასლის მიწოდების თაობაზე.

[20] მუხლი 11.4 მუნიციპალური პროექტები. „მას შემდეგ, რა „მყიდველი“ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად საკუთარ თავზე აიღებს „კომპანიის“ და „საწარმოების“ მართვას, „მყიდველი“ ვალდებულია ითანამშრომლოს „გამყიდველებთან“ კეთილი განწყობით იმისათვის, რომ „მყიდველმა“, სადაც საჭიროა, სამუშაოების შესრულების დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და იმ განვითარების პროექტების განხორციელება, რომელზეც „გამყიდველები“ მიუთითებენ და წინასწარ აცნობებენ „მყიდველ“ გონივრულ ვადაში.“

1.1.4 საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: ხელშეკრულება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს

2010 წლის 22 ივნისის სხდომაზე მოსამართლემ გამოაცხადა, რომ იწყებდა მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპს და საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების მიზნით საქმეს განიხილავდა მხარეთა დასწრების გარეშე. მოსამართლე ნინო შარაძე დახურულ კარს მიღმა 30 წუთის განვალობაში ეცნობოდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ წარდგენილ ხელშეკრულების სრულ ტექსტს (საკმაოდ სქელტანიან დოკუმენტს); საბოლოოდ მოსამართლემ განაცხადა, რომ საქმე საკმაოდ რთული იყო და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დრო სჭირდებოდა. მოსამართლემ საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადადო შემდეგი სხდომისთვის. მომდევნო სხდომაზე მოსამართლემ გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება, რომელიც სრულ დისონანსში მოდიოდა საქმის განხილვის პერიოდში მოსამართლის განწყობასთან/პოზიციასთან; <u>მოსამართლე ნინო შარაძემ მწვანე ალტერნატივას სარჩელი არ დააკმაყოფილა</u>. მოგვიანებით, სასამართლომ შემდეგი სამართლებრივი შეფასება მისცა თავის გადაწყვეტილებას:

„6.2.1. სასამართლო დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თვლის, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დანართები, ასევე შპს „რუსთავწყალისათვის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალის", შპს „თბილისის წყალის", 100% წილის <u>ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერის შეთანხმება #1, შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ის კონკურენტუნარიანობას</u>. ამასთან, შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი", არ არის თანახმა ამ ხელშეკრულების, როგორც კომერციული საიდუმლოების, განსაიდუმლოებასა და გაცემაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, კი საჯარო საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

6.2.2. <u>სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას მასზედ</u>, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის <u>ნასყიდობის ხელშეკრულების დანართები, ასევე შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალი"-ს, შპს „საქწყალკანალი"-ს, შპს „თბილისის წყალი"-ს 100% წილის ნასყიდობის დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერის შეთანხმება #1 შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას</u>.

სასამართლოს მიაჩნია, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და მისი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი, ამ ხელშეკრულების დანართები, ასევე შპს „რუსთავწყალისთვის", შპს „მცხეთაწყალკანალი"-ს, შპს „საქწყალკანალი"-ს, შპს "თბილისის წყალის" 100% წილის <u>ნასყიდობის ხელშეკრულება დამატებითი</u>

<u>განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერის შეთანხმება #1, წარმოადგენენ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, იურიდიულ პირთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას, ანუ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია კერძო სამართლის იურიდიული პირების, კერძოდ, შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალის" შპს „საქწყალკანალის" და შპს „თბილისის წყალის" კომერციული წილების გასხვისების თაობაზე და ამ ადმინისტრაციული ხელშეკრულების საგანს არ წარმოადგენს და ამდენად იგი არ არის დაკავშირებული გარემოს მდგომარეობის საკითხებთან ან გარემოს დაცვის ვალდებულებებთან.</u>

<u>სასამართლო თვლის, რომ მოცემული ადმინისტრაციული ხელშეკრულების საგანი ასევე არ არის ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ</u>, რომელიც რასაკვირველია არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და დაინტერესებულ მხარეს, ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია, თუნდაც ამ გარიგების მონაწილე ადმნისტრაციული ორგანოების შესახებ, შეუძლია გამოითხოვოს თვით ამ ადმინისტრაციული ორგანოებიდან.

6.2.3. სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას მასზედაც, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არ იქნა დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონით დადგენილი წესი.

სასამართლო დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე თვლის, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, <u>ხელშეკრულების მონაწილე ადმინისტრაციულმა ორგანომ, ამ ხელშეკრულების ხელმოწერით, ფაქტიურად მიიღო გადაწყვეტილება წინამდებარე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში არსებული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ და იკისრა ვალდებულება, რომ არ გასცემს ინფორმაციას ამ ხელშეკრულებისათვის დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ, სხვა მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე</u>.

6.3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 331 მუხლის შესაბამისად, <u>სარჩელი ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე დასაბუთებულია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ინფორმაციის გაცემაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესს.</u> ამდენად სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართლებრივად დაუსაბუთებელია მოთხოვნა საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს `მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დანართების, ასევე 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის #1025 განკარგულების საფუძველზე შპს `რუსთავწყალისათვის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალის", შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება #1-ის განსაიდუმლოებისა და საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროზე მისი, როგორც საჯარო ინფორმაციის, გაცემის დავალების შესახებ"[21].

[21] გადაწყვეტილება საქართველოს სახელით საქმეზე #3/1285-09, 2010 წლის 9 ივლისი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია; მოსამართლე: ნინო შარაძე

1.2 სააპელაციო სასამართლო: „ვეთანხმებით წინა გამომსვლელს"

მწვანე ალტერნატივამ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა[22]. მკითხველს შევახსენებთ, რომ მწვანე ალტერნატივამ საქმის საქალაქო სასამართლოში განხილვისას შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა. კერძოდ, ორგანიზაცია აღარ ითხოვდა 2008 წლის 14 მაისს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედითან" გაფორმებული, ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითად ტექსტს და ითხოვდა მხოლოდ ხელშეკრულების დანართებისა და ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერის შეთანხმების გასაიდუმლოების კანონიერების დადგენას და საჯარო ინფორმაციის გადმოცემას.

საქმე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მოსამართლეების ქეთევან დუგლაძის (თავმჯდომარე), ლეილა მამულაშვილის და მერაბ ლომიძის შემადგენლობით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე ერთ სხდომაზე 2010 წლის 15 დეკემბერს განიხილა, თუმცა „საქმის სირთულიდან გამომდინარე"[23] გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება 2010 წლი 29 დეკემბერს გადადო.

2010 წლის 15 დეკემბერს სხდომა სულ 25 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. დროის ამ მცირე მონაკვეთში მოსამართლე ქეთევან დუგლაძემ გამოაცხადა საქმის არსი, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მტკიცებულებებიც განიხილა და შეამოწმა.

სხდომის მიმდინარეობისას ნათელი გახდა, რომ მოსამართლე არამარტო არ იცნობდა საქმის მასალებს, არამედ დავის საგანიც კი არ იცოდა რაში მდგომარეობდა. მაგალითად, მოსამართლე დაინტერესდა, თუკი მწვანე ალტერნატივას უკვე ჰქონდა ხელშეკრულების ტექსტი (ეს ფაქტიც მოსამართლემ მხოლოდ სხდომაზე შეიტყო), რატომ ცდილობდა იგივე დოკუმენტის ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან მოპოვებას? მას შემდეგ რაც გაარკვია, რომ დავის საგანი მხოლოდ ხელშეკრულების დანართებისა და ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების ამსახველი შეთანხმება იყო, მოსამართლე დაეჭვდა - ეს დოკუმენტები მართლაც რაიმეთი მნიშვნელოვანი იყო, თუ ორგანიზაციის თვითმიზანს სასამართლოსთვის მიმართვა წარმოადგენდა?

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 დეკემბრის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა და მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა საჩივარის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულება, ხელშეკრულების დანართები და ცვლილებების შესახებ შეთანხმება არ შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას და დოკუმენტები კანონის მოთხოვნათა დაცვით იქნა გასაიდუმლოებული. „აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს, აპელანტის მოთხოვნას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის საჯარო ინფორმაციის გამოცემის დავალდებულების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებირივი საფუძველი გვექნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარით აპელანტს უკანონოდ მიადგებოდა პირდაპირი და უშუალო

[22] მწვანე ალტერნატივას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 ივლისის დასაბუთებული გადაწყვეტილება 10 ოქტომბერს ჩაბარდა, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს ორგანიაზიამ საჩივრით მხოლოდ 2010 წლის 3 ნოემბერს მიმართა.

[23] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის სხდომის ოქმი, საქმე #3ბ/2429-10

ზიანი; მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, სათანადოდ ვერ მოახდინა მტკიცების ტვირთის რეალიზება, შესაბამისად, მოთხოვნა დაუსაბუთებელია და ვერ გახდება მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი“, აღნიშნულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში.

ყურადსაღებია, რომ პირდაპირი და უშუალო ზიანის არსებობა, პირობაა, რომლის დაუსაბუთებლობის გამო, სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული და საქმის წარმოება შეწყდეს. ხოლო, განხილულ საქმეზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ამ გარემოებას კავშირი არ აქვს.

მწვანე ალტერნატივამ დავა უზენაეს სასამართლოში გააგრძელა.

1.3 დავა უზენაეს სასამართლოში

უზენესი სასამართლოსთვის მიმართვამდე საქმეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება დაემატა. ამჯერად, მწვანე ალტერნატივამ აღმოაჩინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე 2008 წლის 14 მაისს დადებული ხელშეკრულების სრული ტექსტი (დანართებით, რომელიც საქართველოს საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა საჯარო ინფორმაციად არ ჩათვალეს)[24] იყო წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ხელშეკრულება - დოკუმენტის გასაიდუმლოების ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე - წარდგენილია თავად „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ უფლებამოსილი პირის მიერ 2010 წლის 14 დეკემბერს.

2011 წლის 4 თებერვალს მწვანე ალტერნატივამ საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა. ახლადაღმოჩენილი ხელშეკრულების დანართები კი, თავისი არგუმენტების გასამყარებლად ორგანიზაციამ კასაციას დამატებითი მტკიცებულების სახით დაურთო.

უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის განჩინების თანახმად, მწვანე ალტერნატივას კასაცია დაუშვებლად იქნა მიჩნეული და შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 დეკემბერის განჩინება ძალაში დარჩა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების თანახმად, მწვანე ალტერნატივას მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი არ იყო მნიშვნელოვანი სასამართლოს განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან და არც სააპელაციო სასამართლოს განუხილავს საქმე იმდენად მნიშვნელოვანი დარღვევებით, რომ ამას არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

[24] https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=199830&app_id=192096, საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე დოკუმენტი განთავსებულია DjVu - ფორმატში. პროგრამის საინსტალაციო ფაილი უფასოდ ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://djvu.org/resources/

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით[25], არ წარმოადგენს მნიშვნელოვან დარღვევას და ან საერთოდ არ წარმოადგენს დარღვევას ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ, ხოლო შემდეგ სააპელაციო სასამართლომ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა ფაქტებს და არ გამოიკვლია საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები; ხოლო თუ გამოიკვლია - ჩათვალა, რომ საჯარო უწყებებს უფლება აქვთ პირის კომერციულს საიდუმლოდ მიიჩნიონ ისეთი ინფორმაცია როგორიცაა, მაგალითად: თბილისის ახალი და ძველი საზღვრების ამსახველი რუკა; თბილისისა და მცხეთის წყალმომარაგების მდგომარეობისა და წყლის ხარისხის ამსახველი ლაბორატარიული კვლევის შედეგები; სახელმწიფოს მიერ გასხვისებული აქტივების ჩამონათვალი და ა.შ. - რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ვალდებულებებზე, რომელიც დაეკისრა სახელმწიფო უწყებებს და ახალ მფლობელს ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასამელი წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

1.4 გამონაკლისი შემთხვევა, თუ მანკიერი პრაქტიკა?

სამწუხაროდ, ზემოაღწერილი არ არის გამონაკლისი და მწვანე ალტერნატივას პრაქტიკაში ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც დაირღვა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონმდებლობით განსაზღვრული წესი.

მაგალითად, იდენტური მდგომარეობა იყო შპს „ვარციხეჰესი 2005“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის “G.M. Georgian Manganese Holding Limited”-ისათვის გადაცემის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულების სრული ტექსტი გასაიდუმლოებულია თავად ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლით. ამ შემთხვევაშიც, სამინისტრო ასეთი წესით გასაიდუმლოებას იმით ხსნიდა, რომ ეს მუხლი წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ. დოკუმენტის მოპოვებისათვის მწვანე ალტერნატივას მცდელობები წარუმატებლად დასრულდა ყველა ინსტანციის სასამართლოში. „ვარციხეჰესი 2005“-ის ნასყიდობის ხელშეკრულების გასაიდუმლოების პრაქტიკის უკანონოდ ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებითაც, უზენაესმა სასამართლომ[26] თავის განჩინებაში, რომლითაც არ მიიღო წარმოებაში სარჩელი, აღნიშნა, რომ არ არსებობს საჩივრის განხილვისა და სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არც სამართლის განვითარების და არც ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ მწვანე ალტერნატივას სასამართლო დავის დასრულების შემდეგ შპს „ვარციხეჰესი 2005“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის “G.M. Georgian Manganese Holding Limited”-ისათვის გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულება („მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ”-თან გაფორმებული ხელშეკრულების მსგავსად) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსდა[27]. როგორც მწვანე ალტერნატივა 3.5-წლიანი სასამართლო

[25] საქმე განიხილა უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მოსამართლეების: ლევან მურუსიძის (თავმჯდომარე), მაია ვაჩაძისა და პაატა სილაგაძის შემადგენლობით.

[26] საქმე განიხილა უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მოსამართლეების: ლევან მურუსიძის (თავმჯდომარე), მაია ვაჩაძისა და პაატა სილაგაძის შემადგენლობით.

[27] ინფორმაცია სუბიექტზე „ვარციხე 2005“, სკანირებული დოკუმენტები, დოკუმენტი განთავსებულია DJVU ფორმატში: https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=38287

დავის[28] განმავლობაში ამტკიცებდა, ხელშეკრულება მართლაც შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას.

2006 წლის 8 დეკემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და "G.M. Georgian Manganese Holding Limited"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მუხლი 6. „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა":
„მხარეები თანხმდებიან, რომ საზოგადოების საკუთრებაში არსებულ, აგრეთვე უზუურფრუქტის ხელშეკრულებებით სახელმწიფოსაგან მიღებულ მიწის ნაკვეთებზე და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ისტორიული დაბინძურების ფაქტებზე და ასევე ნებისმიერ შემდგომში აღმოჩენილი გარემოს დაბინძურების ფაქტებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ხელშეკრულების ხელმოწერამდე, გამყიდველი თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმარება მყიდველს აღმოფხვრას ამგვარი ისტორიული გარემოს დაბინძურების ფაქტები".

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება - საპრივატიზაციო ხელშეკრულებების მუხლები, რომლითაც გასაიდუმლოებულია ხელშეკრულებების სრული ტექსტი, როგორც წესი, ასევე ითვალისწინებს ინფორმაციის ღიაობას ისეთი სახის ინფორმაციაზე რომლის გამჟღავნებაც სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით. თუმცა, როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ისე სასამართლოები (გაურკვეველი მიზეზების გამო) ხელმძღვანელობენ მხოლოდ იმ ნორმით, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის გასაიდუმლოებას; ისინი კომერციულ საიდუმლოებად თვლიან უწყებაში დაცულ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც რაიმე შეხება აქვს პრივატიზებულ საწარმოსთან და არ აკმაყოფილებენ მოთხოვნას არაკომერციული ინფორმაციის გამოცალკევების თაობაზე.

არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებისა და მოსამართლეების მომზადების დონე გარემოსდაცვით და „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციით განსაზღვრულ საკითხებზე; და მწვანე ალტერნატივას როგორც ამ ანგარიშში აღწერილი, ასევე სხვა ადმინისტრაციული თუ სასამართლო დავები, ამის ნათელი ილუსტრაციაა.

[28] თბილისის საქალაქო სასამართლოს მწვანე ალტერნატივამ სარჩელით 2007 წლის 16 მაისს მიმართა; აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მწვანე ალტერნატივას სარჩელი დაკმაყოფილდა. მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძე თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ ხელშეკრულება შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას და ის არ შეიძლება წარმოადგენდეს ვინმეს კომერციულ საიდუმლობას. თუმცა, მოგვიანებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა (საქმეში არ აღმოჩნდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის სასამართლოს დახურული (!) სხდომის ჩატარების შესახებ შეტყობინება) და საქმე განსახილველად კვლავ საქალაქო სასამართლოს გადაეცა. საქალაქო სასამართლოში საქმე ხელმეორედ მოსამართლე გიორგი ტყვაძემ განიხილა. ამჯერად მოსამართლემ ვერ აღმოაჩინა ხელშეკრულებაში გარემოსდაცვითი ინფორმაცია, სამაგიეროდ ჩათვალა, რომ ხელშეკრულება შეიცავს კომერციული ღირებულების მქონე მნიშვნელოვან ინფორმაციას და არ დააკმაყოფილა მწვანე ალტერნატივას საჩივარი. მწვანე ალტერნატივამ ამ ჯერზე ვერც სააპელაციო სასამართლოს და ვერც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების გადარწმუნება შეძლო. 2010 წლის 8 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლეების ივ. ღლონტის, ჯ. რუსიაშვილის და ბ. ალავიძის შემედგენლობით) არ დააკმაყოფილა მწვანე ალტერნატივას საჩივარი; ხოლო 2010 წლის 6 დეკემბერს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ (მოსამართლეების: ლევან მურუსიძის (თავმჯდომარე), მაია ვაჩაძისა და პაატა სილაგაძის შემადგენლობით) დაუშვებლად სცნო ორგანიზაციის საკასაციო საჩივარი.

1.5. ისტორია გრძელდება....

მკითხველს შევახსენებთ, რომ დღეისათვის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია 2008 წლის 14 მაისს მალტიპლექს ენერჯი ლიმითედითან გაფორმებული ხელშეკრულების დოკუმენტი, თუმცა დახურული რჩება ამ ხელშეკრულებაში 2009 წლის 22 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების შესახებ შეთანხმება. ვინაიდან მწვანე ალტერნატივამ ამოწურა სასამართლოს მეშვეობით დოკუმენტის მოთხოვნის ყველა შესაძლებლობა, ამჟამად ორგანიზაცია ცდილობს არაპირდაპირი გზებით შეიტყოს შეთანხმების შინაარსი.

სამე იმაშია, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების სისტემები პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისდა და საწარმოების გადაცემისა და გადაცემის პირობების შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობებში ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებაც პრეზიდენტს უნდა მიეღო. ეს გადაწყვეტილება კი, საწარმოების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების მსგავსად უნდა ასახულიყო შესაბამის განკარგულებაში. ამიტომ მწვანე ალტერნატივამ დაიწყო პრეზიდენტის იმ განკარგულების ძიება, რომლის საუძველზეც 2009 წლის 22 დეკემბერს ხელშეკრულებაში ცვილილება შევიდა. თუმცა, ეს არც თუ მარტივი ამოცანა აღმოჩნდა...

შემდეგ თავში შეიტყობთ თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გასხვისებისა და გაუმჯობესებისთვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული საზოგადოებისათვის ცნობილი და უცნობი განკარგულებების შესახებ; ასევე, მწვანე ალტერნატივას მცდელობების შესახებ პრეზიდენტის გამოუქვეყნებელი განკარგულებების მოპოვებისათვის.

თავი 2. საქართველოს პრეზიდენტის ღია და ფარული განკარგულებები თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის

თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების სისტემების გასხვისება-გაუმჯობესებისათვის პრეზიდენტის მიერ გამოცემული განკარგულებების ზუსტი რაოდენობა საზოგადოებისათვის უცობია. ამიტომ ქვემოთ მოგითხრობთ იმ განკარგულებების შესახებ, რომელთაგან ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი არა; ხოლო ნაწილის არსებობა, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ.

2.1 საპროტესტო აქციების ფონზე გამოცემული გამოუქვეყნებელი განკარგულებები

საქართველოს პრეზიდენტმა 2007 წლის ნოემბერში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისისა და მიმდინარე მასობრივი საპროტესტი აქციების[29] ფონზე, პოსტიდან გადადგომამდე ერთი დღით ადრე, ხელი მოაწერა ორ განკარგულებას:

1. „შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილისა და შპს „რუსთავწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ (საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის №685 განკარგულება); და
2. „შპს „თბილისის წყლის“ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 100% წილის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ (საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №702 განკარგულება).

<u>აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის №685 და 2007 წლის 24 ნოემბრის №702 განკარგულება არ გამოქვეყნებულა და დღესაც კი არ იძებნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე[30]. განკარგულებების ასლები მწვანე ალტერნატივამ არაოფიციალური გზით მოიპოვა.</u>

1. პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის განკარგულების თანახმად, კომპანია <u>Multiplex Energy Limited-ს</u> გადაეცა შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი, შპს

[29] 2007 წლის ნოემბერში პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით დაწყებული სახალხო საპროტესტო აქცია დასრულდა პოლიციის მიერ მონაწილეთა ძალის გამოყენებით დაშლით და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით. კრიზისის საპასუხოდ პრეზიდენტმა საარჩევნო ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები გამოაცხადა, რომელიც 2008 წლის იანვარში ჩატარდა.

[30] www. matsne.gov.ge ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, არის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, დაარსებულია 1998 წელს და 2010 წლის ჩათვლით გამოიცემოდა ბეჭდვითი სახით. 2011 წლიდან კი ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” ახალი ფორმატით მომხმარებელს სთავაზობს ყველასათვის ხელმისაწვდომ, დაცულ, მუდმივად განახლებად ოფიციალურ ვებგვერდს, სადაც მომხმარებელს შეუძლია იხილოს საქართველოს ყველა უწყების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტები და საჯარო განცხადებები.

„მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი და შპს „რუსთავწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%.

აქ მკითხველის ყურადღება გვსურს მივაპყროთ ორ გარემოებაზე: „ინტერესთა გამოხატვის“ პროცესში გამარჯვებულად გამოცხადდა შვეიცარული კომპანია Multiplex Solutions, ხოლო პრეზიდენტის განკარგულებით საწარმოები Multiplex Energy Limited-ს (როგორც შემდგომში გაირკვა, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ კომპანიას) გადაეცა; მნიშვნელოვანია ასევე, რომ „ინტერესთა გამოხატვის“ პროცესში შპს „რუსთავწყალკანალი“ საერთოდ არ ფიგურირებდა და საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა არათუ მყიდველის მიერ შემოთავაზებული პირობები, არამედ საწარმოს გაყიდვის გეგმის არსებობაც კი. პრეზიდენტის განკარგულებით, საწარმო 15 მილიონ აშშ დოლარად 2008 წლის ბოლომდე თანხის დაფარვის ერთადერთი პირობით გასხვისდა. იმავე განკარგულებით Multiplex Energy Limited-ს 662 ათას აშშ დოლარად გადაეცა შპს "საქწყალკანალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი და შპს "მცხეთაწყალკანალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი.

განკარგულებით დადგენილ იქნა ასევე მცხეთის გამრიცხველიანებული მოსახლეობისათვის ყოველწლიური ტარიფი 2008-2018 წლების პერიოდისთვის. ასევე, განკარგულებით, მყიდველს დაევალა მცხეთის მოსახლეობის გამრიცხველიანების 2015 წლისთვის დასრულება, თუმცა გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობის ტარიფიც 2018 წლამდე იქნა გაწერილი.

მყიდველს ასევე დაევალა 10 წლის ვადაში გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია და 5 წლის ვადაში გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და ახალი საკოლექტორო სისტემის შექმნა. საგულისხმოა, რომ ამავე განკარგულებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა, ინვესტორის დახმარებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავება, იმისათვის, „რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა“.

ზემოხსენებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, მყიდველს დაევალა ხელშეკრულების გაფორმებისას 25 მილიონი აშშ დოლარის საბანკო გარანტიის წარდგენა. აღსანიშნავია, რომ კანონის[31] თანახმად, ქონების პრივატიზების პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად მყიდველი ვალდებულია, წარადგინოს საბანკო გარანტია ქონების ღირებულების 5%-ის ოდენობით; ხოლო თუ ინვესტიციის მოცულობა აღემატება საპრივატიზებო ქონების ღირებულებას, საბანკო გარანტია უნდა შეესაბამებოდეს ინვესტიციის მოცულობის 5%-ს. პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეს თანხა ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში (სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას) ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისას).

თუ გავითვალისწინებთ რომ, ამ გარიგების თანახმად, საპრივატიზებო ქონების ღირებულება (662 ათასი აშშ დოლარი) საბანკო გარანტიის ოდენობაზე ნაკლებია, უნდა ვივარაუდოთ, რომ საგარანტიო თანხა ინვესტიციების ოდენობიდან იქნა გამოთვლილი და ინვესტიციების საერთო მოცულობის 5% შეადგენს - შესაბამისად, მყიდველს ევალებოდა 500 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება „მცხეთაწყალკანალისა“ და „საქწყალკანალის“ განვითარებისათვის.

2. პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის განკარგულების თანახმად, Multiplex Energy Limited-ს 85 მილიონ აშშ დოლარად, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, გადაეცა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შპს "თბილისის წყლის" 100%-იანი წილი. განკარგულებით

[31] „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 61, პუნქტი 9.

დადგენილ იქნა ტარიფიც თბილისის გამრიცხველიანებული და გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობისათვის, ასევე, 2018 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ კორპუსების გამრიცხველიანების დასრულება მყიდველს 2012, ხოლო მრავალბინიანი სახლების გამრიცხველიანება 2015 წლამდე დაევალა. 2012 წლისთვის მყიდველს ასევე დაევალა თბილისის ტერიტორიაზე მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრა.

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად მყიდველი ამ შემთხვევაშიც ვალდებული იყო 25 მილიონი აშშ დოლარის საბანკო გარანტია წარმოედგინა. აქაც, თუკი საგარანტიო თანხა ობიექტის ღირებულებიდან (85 მილიონი აშშ დოლარი) ითვლებოდა, მისი ოდენობა 4.25 მილიონი აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო. ამდენად, თანხა განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობიდან იყო გამოთვლილი, რომელიც ამ ლოგიკით, ასევე, 500 მილიონ აშშ დოლარს უნდა შეადგენდეს.

„თბილისის წყლის“ შემთხვევაშიც, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა, ინვესტორის დახმარებით, გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარების შესახებ გეგმის მომზადება, იმისათვის, „<u>რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა</u>“.

პრეზიდენტის ზემოხსენებული განკარგულებების გამოცემასთან ერთად, ლოგიკურად, უნდა დაწყებულიყო მყიდველთან შესაბამისი ხელშეკრულებების დადების პროცედურა. მიუხედავად ამისა, განკარგულებების გამოცემიდან ოთხი თვის შემდეგ, აქტების გამოცემის „ახალი ტალღა“ დაიწყო.

2.2 პრეზიდენტის გამოქვეყნებული განკარგულება

2008 წლის 10 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება № 245 „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა მის მიერვე 2007 წლის ნოემბერში გამოცემული, მაგრამ გამოუქვეყნებლი აქტები (N685 და N702 განკარგულებები). პრეზიდენტის ამავე განკარგულებით Multiplex Energy Limited-ს პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა:

- შპს „რუსთავწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი ამჯერად 10 მილიონ აშშ დოლარად, კვლავ ყოველგვარი პირობების გარეშე;
- შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი და შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი 662 ათას აშშ დოლარად იმავე პირობებით, რაც პრეზიდენტის გაუქმებული განკარგულებით დადგინდა, იმ განსხვავებით, რომ მყიდველს დაევალა მცხეთაში მომხმარებელთათვის <u>კოლექტიური მრიცხველების</u> დამონტაჟება; ასევე შეიცვალა საბანკო გარანტიის ოდენობა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, მყიდველს დაევალა ბანკის მიერ გაცემული 5 მილიონი აშშ დოლარის გამოუხმობადი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. საბანკო გარანტიის ოდენობიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობამ 100 მილიონი აშშ დოლარი (კანონის თანახმად, საბანკო გარანტია უნდა შეესაბამებოდეს შემოთავაზებული ინვესტიციის მოცულობის 5%-ს) უნდა შეადგინოს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ძალადაკარგული განკარგულების თანახმად, ინვესტიციების მოცულობა გაცილებით დიდი იყო და 500 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.
- ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შპს „თბილისის წყლის“ 100% წილი მყიდველს 85 მილიონი აშშ დოლარად იმავე პირობებით გადაეცა. ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვნად შემცირდა საბანკო გარანტიის და შესაბამისად, განსახორციელებელი

ინვესტიციების ოდენობა. საბანკო გარანტიის მოცულობა, ამჯერად, 10 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა; შესაბამისად, ინვესტიციების მოცულობა 200 მილიონ აშშ დოლარს უნდა შეადგენდეს. ამ შემთხვევაშიც, სავალდებულო ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად (300 მილიონი აშშ დოლარით) შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ჯამში, განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობამ 300 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც პრეზიდენტის ძალადაკარგული განკარგულებებით განსაზღვრულზე (და სავარაუდოდ იმ დროისათვის მყიდველთან შეთანხმებულზე) 700 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო „ინტერესთა გამოხატვის“ პროცესში „მულტიპლექს სოლუშენსის“ მიერ შემოთავზებულზე 50 მილიონი აშშ დოლარით ნაკლებია.

2.3 პრეზიდენტის შემთხვევით გამჟღავნებული განკარგულება

2008 წლის 14 მაისს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი”-ს შორის ხელშეკრულების გაფორმების დღეს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა №323 განკარგულება „„ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის #245 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. ვინაიდან ეს განკარგულება ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, მისი არსებობის შესახებ მხოლოდ 2010 წლის ივნისში გახდა ცნობილი, როდესაც მწვანე ალტერნატივამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტის ვებ-გვერდზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის ხელშეკრულების ასლი აღმოაჩინა. პრეზიდენტის ეს განკარგულება რამდენჯერმეა მოხსენიებული ხელშეკრულებაში, როგორც საწარმოების გასაყიდი ფასის შემცირების საფუძველი.

2010 წლის ივნისში მწვანე ალტერნატივამ პრეზიდენტის ეს განკარგულება პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოითხოვა; თუმცა, ორგანიზაციის მოთხოვნას და არც მოგვიანებით პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის სახელზე წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს რეაგირება არ მოჰყოლია. ამიტომ მწვანე ალტერნატივამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა.

სასამართლო დავის პარალელურად, მწვანე ალტერნატივამ პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის განკარგულება, სხვა საჯარო ინფორმაციასთან ერთად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდანაც მოითხოვა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას განკარგულების ასლი გადასცა. შესაბამისად, ორგანიზაციამ შეწყვიტა პრეზიდენტის ადმინისტრაცისთან სასამართლო დავა. სამწუხაროდ, მწვანე ალტერნატივას პრაქტიკაში ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო (და ეს განსაკუთრებით შეეხება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას) არ გასცემს ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნის გარეშეც ხელმილმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის და ასეთი ინფორმაციის მოპოვება ორგანიზაციას ჯერ ადმინისტრაციული წარმოების და შემდეგ კი სასამართლოს ხანგრძლივი პროცედურების მეშვეობით უწევს.

რაც შეეხება განკარგულების შინაარსს, აღმოჩნდა, რომ განკარგულებით გათვალისწინებული ცვლილებები შეეხო მხოლოდ გასაყიდი ობიექტების ფასს და გადახდის წესს. კერძოდ, ახალი განკარგულებით Multiplex Energy Limited-ს გადაეცა:

- შპს „რუსთავწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი ამჯერად 8 996 857 მილიონ აშშ დოლარად; ასევე, განკარგულებაში გაჩნდა 1 456 565 ლარის ოდენობით დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების გადახდის პირობა;
- შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი და შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი 585 480 აშშ დოლარად. ასევე, 111 119 ლარის ოდენობით დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების გადახდის პირობით;
- ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შპს „თბილისის წყლის“ 100% წილი მყიდველს 70 428 871 აშშ დოლარად გადაეცა. ამ შემთხვევაშიც, მყიდველს დაევალა 21 157 281 ლარის ოდენობით დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების დაფარვა.

2.4 პრეზიდენტის „ჯიუტად“ გასაიდუმლოებული განკარგულება

როგორც პირველ თავში ავღნიშნეთ, 2009 წლის 22 დეკემბერს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედთან“ 2008 წლის 14 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ შეთანხმება გაფორმდა.

ვინაიდან საწარმოების გაყიდვისა და შესაბამის პირობების შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტმა მიიღო, 2009 წლის 22 დეკემბერს შეთანხმების დადება ხელშეკრულების პირობების შეცვლის თაობაზეც, ასევე პრეზიდენტის გადაწყვეტილებით უნდა მომხდარიყო.

მიუხედავად იმისა, რომ განკარგულების შინაარსი საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია, დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განკარგულებაში საუბარია ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადავადებაზე და წყალმომარაგების ტარიფის ზრდაზე. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას კი, შემდეგი გარემოებები იძლევა:

ვადებულებების გადავადების შესახებ განცხადებებს კომპანიის წარმომადგენლები თავად აკეთებდნენ. *„ჩასატარებელი სამუშაოების მასშტაბებიდან გამომდინარე, არარეალურია, დედაქალაქის უწყვეტი წყალმომარაგება 2011 წლისთვის მოესწროს. ამის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად თბილისის უწყვეტი წყალმომარაგება, ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებში, 2013 წლამდე განხორციელდება“*[32] - აცხადებდა “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" გენერალური დირექტორი იორგ მათისი გაზეთ ”24 საათთან" საუბარში.

პრეზიდენტის განკარგულებაში ტარიფის ოდენობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების არსებობის თაობაზე კი, მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც 2010 წლის 24 ნოემბერს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ-მა) მიიღო გადაწყვეტილება შპს «ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გაუმრიცხველიანებელი მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ტარიფის 2.40 ლარიდან 3.20 ლარამდე გაზრდის შესახებ. საქმე იმაშია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის განკარგულების, ისევე როგორც საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი”-ს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, 2010 -2013 წლებში ტარიფი უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 2.95 ლარისა; ტარიფის გაზრდის უფლება კომპანის მხოლოდ 2014 წელს ჰქონდა (მაქსიმუმ 3,3 ლარამდე). ამიტომ სემეკ-ის

[32] „თბილისის უწყვეტი წყალმომარაგების ვადამ 2013 წლამდე გადაიწია“, გაზეთი „24 საათი“, 09.04.10

გადაწყვეტილებამ[33] ტარიფის ზრდის შესახებ გარკვეული დაბნეულობა და უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში.

ტარიფის ზრდის თაობაზე „უკმაყოფილება“ და „უკიდურესი შეშფოთება“ თავად ქ. თბილისის მერმაც კი, საჯაროდ გამოხატა. *„გიგი უგულავა სემეკის ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის თხოვნით გუშინ სპეციალური კომისია გაიმართა. უგულავამ ნიკა გილაურს მადლობა გადაუხადა სხდომის მოწვევისთვის. კომისიის სხდომამ დააკმაყოფილა თბილისის მერის წინადადება, რის საფუძველზეც, წყლის ტარიფი 2,40 ლარზე იმ აბონენტებისთვის შენარჩუნდება, რომელთაც წყალი გრაფიკით მიეწოდებათ. შეცვლილი ტარიფი - 3,15 ლარი ერთ სულზე - მხოლოდ იმ აბონენტებზე გავრცელდება, რომლებსაც წყალი 24 საათის განმავლობაში უწყვეტად მიეწოდებათ. გიგი უგულავას განცხადებით, ეს არის მოტივაცია წყლის კამპანიისთვის, რომ ბოლომდე მიიყვანოს ქალაქის უწყვეტი წყალმომარაგების პროგრამის განხორციელება. გარდა ამისა, უგულავას განცხადებით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ისევ წყლის გადასახადის ნახევარს გადაიხდის, ხოლო დარჩენილ 50 პროცენტს თბილისის მერია დაფარავს, რაც 105 000 სოციალურად დაუცველი ადამიანისთვის უკვე გათვალისწინებულია თბილისის 2011 წლის ბიუჯეტში. უგულავას თქმით, თბილისში წყლის ტარიფის რევიზია არ მოხდება და ის მომავალი 5 წლის განმავლობაში უცვლელად შენარჩუნდება“* - წერდა გაზეთი „24 საათი“[34].

მალევე გაირკვა, რომ თბილისის მერი ბოლომდე გულწრფელი არ იყო ტარიფის „უცაბედი“ ზრდით შეშფოთებისას. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ საზოგადოებას განუმარტა, რომ ტარიფის გაზრდისას სემეკს არ დაურღვევია კანონის მოთხოვნები. სემეკის თავმჯდომარემ განაცხადა: *„წყლის ტარიფები დგინდება კომისიის მიერ დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კომისია უფლებამოსილია გაითვალისწინოს სახელმწიფოს მიერ დადებული გარიგებები და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები წყალმომარაგების სფეროში. კომისიის მიერ დადგენილი ტარიფები არ აღემატება ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ განაკვეთებს“*[35]. ამ განმარტებიდან ნათელი იყო, რომ ტარიფის ზრდის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის ფარული განკარგულებისა და შესაბამისად, 2009 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების ნაწილი იყო.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქ. თბილისის მერს, ისევე როგორც დანარჩენ საზოგადოებას არ უნახავს პრეზიდენტის საიდუმლოებით მოცული განკარგულება, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით 2009 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების შესახებ, რადგან დოკუმენტის ერთი-ერთი ხელმომწერი ქ. თბილისის მთავრობაა. ამდენად, მერის ზემოაღწერილი ძალისხმევა სხვა არაფერი იყო თუ არა ფარსზე აგებული პიარ-კამპანია.

---

[33] „„წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს N 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 24 ნოემბრის N 27 დადგენილება

[34] „თბილისელებისთვის წყალი გაძვირდა“, გაზეთი „24 საათი“, 25.11.10

[35] “გურამ ჩალაგაშვილი: წყლის საფასურის მომატება კანონდარღვევა არ არის”, 2010.12.10, www.commersant.ge

2.4.1 განკარგულების მოპოვების მცდელობა

1. პრეზიდენტის განკარგულების მოპოვება მწვანე ალტერნატივამ თავდაპირველად (2010 წლის დეკემბერში) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სცადა. რადგან განკარგულების რეკვიზიტები უცნობი იყო, ორგანიზაციამ სამინისტროს სთხოვა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების ასლი, რომლის საფუძველზეც 2009 წლის 22 დეკემბერს შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედთან“ დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხად მწვანე ალტერნატივამ მიიღო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ სამინისტრომ წერილი რეაგირებისათვის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცის გადაუგზავნა; თუმცა ამას პრეზიდენტის ადმინისტრაციის რეაგირება არ მოჰყოლია.

2. 2011 წლის მარტში, მას შემდეგ რაც ნათელი გახდა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ აპირებდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გადამისამართებულ წერილზე პასუხის გაცემას, მწვანე ალტერნატივამ თავად მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და მოითხოვა „პრეზიდენტის ყველა იმ განკარგულების ასლი, რომლითაც ცვლილებები და/ან დამატებები შევიდა საქართველოს პრეზიდენტის „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ 2008 წლის 10 აპრილის N 245 განკარგულებაში[36]“. პრეზიდენტის ადმინისტრაციის დასაშვებ ვადაზე მეტად გაგრძელებული დუმილის შემდეგ, მწვანე ალტერნატივამ სასამართლოს მიმართა. საქმე განიხილა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თამარ ონიანმა.

სარჩელი მწვანე ალტერნატივამ საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ შეიტანა. მოწინააღდეგე მხარის წარმომადგენელმა სასამართლოს განუცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ არის საქმეზე სათანადო მოპასუხე, რადგან „საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ამასთან „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 ივნისის #562 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურის ფუნქციაა“.

ფაქტიურად, საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია სხვადასხვა ადმინისტრაციული უწყებაა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მოსამართლე დაეთანხმა ზემოთმოყვანილ არგუმენტებს და არ დააკმაყოფილა მწვანე ალტერნატივას სარჩელი. საქალაქო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების თაობაზე მწვანე ალტერნატივამ კერძო საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაცნობის შესაძლებლობა მკითხველს მწვანე ალტერნატივას შემდეგ ანგარიშში ექნება.

3. 2011 წლის სექტემბერში მწვანე ალტერნატივამ კვლავ სცადა პრეზიდენტის განკარგულების მოთხოვნა. ამჯერად, ორგანიზაციამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს მიმართა; თუმცა, შედეგი ანალოგიური იყო - მწვანე ალტერნატივას პასუხი არ მიუღია. რეაგირება ჯერჯერობით არც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის

[36] მწვანე ალტერნატივას 2011 წლის 15 მარტის წერილი საქართველოს პრეზიდენტს.

სახელზე გაგზავნილ ადმინისტრაციულ საჩივარს მოჰყოლია. მწვანე ალტერნატივა კვლავ სასამართლოსთვის მიმართვას გეგმავს.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ორგანიზაცია ითხოვს დოკუმენტის გადმოცემას, რომელიც მოთხოვნის გარეშეც ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის; საჯარო უწყება კი, ყველა ღონეს ხმარობს, რათა საზოგადოებისთვის უცნობი დარჩეს მისი შინაარსი.

2.5 პრეზიდენტის განკარგულებების გასაიდულოების შესაძლო მიზეზები

საქართველოს პრეზიდენტის ზემოხსენებული განკარგულებების გამოცემის მიზანი ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუჯობესება იყო. ერთი შეხედვით, გაუგებარია, რა შეიძლებოდა გამხდარიყო ასეთი კეთილშობილი მიზნის მისაღწევად მიღებული გადაწყვეტილებების გასაიდუმლოების საფუძველი; მაგრამ, თუ გავიხსნებთ, რომ „ინტერესთა გამოხატვის“ პროცესში უცნობ და გამოუცდელ „მალტიპლექს სოლუშენს“ უპირატესობა სწორედ წყლის დაბალი ტარიფის, მაღალი გასაყიდი ფასისა და დიდი საინვესტიციო თანხის შეთავაზების გამო მიენიჭა, შესაძლოა, განკარგულებების გასაიდუმლოების ლოგიკურ ახსნასაც მივაკვლიოთ.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში მკითხველს შეუძლია იხილოს, თუ როგორ მცირდებოდა საწარმოების გასაყიდი ფასის, საბანკო გარანტიისა და განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობა პრეზიდენტის ყოველი შემდეგი განკარგულების გამოცემისას.

საწარმოების ღირებულება				
პრეზიდენტის განკარგულებები	რუსთავ-წყალკანალი	საქწყალ-კანალი	მცხეთა-წყალკანალი	თბილისის წყალი
23.11.2007, №685; 24.11.2007, №702	15 000 000 $	662 000$		85 000 000 $
10.04.2008 №245	10 000 000 $	662 000$		85 000 000 $
14.05.2008 №323	8 996 857 $	585 480 $		70 428 871 $
საბანკო გარანტია				
პრეზიდენტის განკარგულებები	რუსთავ-წყალკანალი	საქწყალ-კანალი	მცხეთა-წყალკანალი	თბილისის წყალი
23.11.2007, №685; 24.11.2007, №702	0	25 000 000 $		25 000 000 $
10.04.2008 №245	0	5 000 000$		10 000 000 $
ინვეტიციების ოდენობა				
პრეზიდენტის განკარგულებები	რუსთავ-წყალკანალი	საქწყალ-კანალი	მცხეთა წყალკანალი	თბილისის წყალი
23.11.2007, №685; 24.11.2007, №702	0	500 000 000 $		500 000 000 $
10.04.2008 №245	0	100 000 000 $		200 000 000 $
ხელშეკრულების თანახმად, ინვესტიციების ჯამური ოდენობა 220 მილიონი აშშ დოლარია; თუმცა, დღემდე უცნობი რჩება შემცირდა/გაიზარდა თუ არა ეს ოდენობა 2009 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმებით.				

სავარაუდოა, რომ პრეზიდენტის განკარგულებების საიდუმლოდ შენახვა სწორედ ამ დათმობების დამალვას ემსახურებოდა.

თავი. 3 რა გაკეთდა რუსთავის, მცხეთისა და თბილისის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის?

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, რუსთავის, მცხეთისა და თბილისის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ"-ს გადაეცა მთელი რიგი პირობებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. შესაბამისად, პირობების შესრულების ამსახველი დოკუმენტი, ორჰუსის კონვენციის თანახმად, წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას[37] და ხელმისაწვდომი[38] უნდა იყოს საზოგადოებისათვის; აგრეთვე, ეს არის ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც აუცილებლად იქონიებს გავლენას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის გასაიდუმლოებაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის[39] თანახმად, დაუშვებელია. რაც მთავრია, ეს არის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის[40] თანახმად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი მოქალაქისათვის.

მწვანე ალტერნატივა ორ წელზე მეტია ცდილობს მოიპოვოს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედის" მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ანგარიშის შემდეგ ქვეთავებში მკითხველი შეიტყობს, თუ რა ინფორმაციის მოპოვება მოახერხა ამ დროის განმავლობაში ორგანიზაციამ და რა ძალისხმევის ფასად.

3.1. მცდელობა I - "გაფუჭებული ტელეფონი"

„მალტიპლექს ენერჯი ლიმითედის" მიერ ქ. რუსთავის, მცხეთისა და თბილისის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიება მწვანე ალტერნატივამ პირველად 2009 წლის მაისში, საწარმოების გაყიდვიდან ერთი წლის შემდეგ სცადა. მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ პერიოდში საზოგადოებისთვის უცნობი იყო საწარმოების ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსი, სამაგიეროდ, ცნობილი იყო პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N245 განკარგულებით დადგენილი პირობები. ამიტომ ორგანიზაციამ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სწორედ პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილი პირობების შესრულების თაობაზე მოსთხოვა ინფორმაცია.

მოთხოვნაზე პასუხად მწვანე ალტერნატივამ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის წერილი მიიღო, რომლითაც ორგანიზაციას ეცნობა, რომ „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" არ წარუდგენია სამინისტროსთვის ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესახებ, რისთვისაც დაჯარიმდა კიდეც. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ საწარმოს გაეგზავნა წერილი, რომლითაც ჯარიმის გადახდასთან ერთად, მოეთხოვა ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა.

6 თვის შემდეგ მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იგივე მოთხოვნით. ამჯერად, მწვანე ალტერნატივამ პასუხად ეკონომიკური განვითარების

[37] მე-2 მუხლი

[38] მე-4 მუხლი

[39] 42-ე მუხლის (ა) პუნქტი

[40] 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი

სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისათვის“ გაგზავნილი წერილის ასლი მიიღო. წერილში სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, მწვანე ალტერნატივას წერილის საფუძველზე, „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ სთხოვდა თანხმობას „ხელშეკრულებების გაცემასთან დაკავშირებით“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ წერილი ეგზავნებოდა ერეკლე მეორეს ქ. №4/10-ზე, ანუ მისამართზე, სადაც კომპანია უკვე დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებდა[41].

ვინაიდან მწვანე ალტერნატივას მოთხოვნის საგანი სულ სხვა რამ იყო (ორგანიზაცია ითხოვდა არა ხელშეკრულების ასლს, არამედ პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილ პირობათა შესრულების მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტაციას), გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს მოთხოვნის დამატებითი განმარტებით. დამატებით განმარტებას არც პასუხი და არც მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოჰყოლია. 2010 წლის 27 იანვარს, იმავე მოთხოვნით, მწვანე ალტერნატივამ ამჯერად თავად ეკონომიკური განვითარების მინისტრს, ზურაბ პოლოლიკაშვილს მიმართა. პასუხად, 2010 წლის 4 თებერვალს, მწვანე ალტერნატივამ კვლავ საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის წერილი მიიღო, სადაც ის განმარტავდა, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილებას, სამინისტრო, მხოლოდ „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისგან“ წერილობითი დასტურის შემდეგ მიიღებდა. „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისგან“ დასტურის მიღების მოლოდინის მიზეზს, წერილის ავტორი არ განმარტავდა.

ზემოაღნიშნული წერილის საპასუხოდ, 2010 წლის 8 თებერვალს მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს; ამჯერად ორგანიზაციამ მოითხოვა იმ სამართლებრივი საფუძვლის დასახელება, რომელსაც ეყრდნობოდა სამინისტრო, „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისაგან“ წერილობითი თანხმობის მიღებამდე, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას. მწვანე ალტერნატივამ, პრევენციულად, ასევე ითხოვა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დამადასტურებელი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედის“ კომერციულ საიდუმლოებას. არც განმარტება და არც მოთხოვნილი ინფორმაცია მწვანე ალტერნატივას ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან არ მიუღია.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ორკვირიანი დუმილის შემდეგ, 2010 წლის 22 თებერვალს მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივრით საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართა. ადმინისტრაციულ საჩივარში, ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან დოკუმენტის მოპოვების წარუმატებელი მცდელობის დეტალების აღწერის შემდეგ, მწვანე ალტერნატივა სთხოვდა პრემიერ-მინისტრს, დაევალებინა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის, იმ საჯარო ინფორმაციის მიწოდება, რომლის მიღების უფლებაც, ორგანიზაციას, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად ჰქონდა. 2010 წლის 11 მარტს საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან მიღებული წერილით[42] მწვანე ალტერნატივას

[41] სამინისტროსთვის ეს ფაქტი ცნობილი უნდა ყოფილიყო, თუნდაც იმის გამო, რომ მწვანე ალტერნატივასა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის მიმდინარე სასამართლო დავისას, სასამართლომ აღნიშნულ მისამართზე კომპანიას ვერ მიაკვლია და სამინისტროს დაავალა კომპანიის სწორი მისამართის მიწოდება.

[42] საქართველოს მთავრობის კანცელარიის საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსის, ლევან ერიქაშვილის 2010 წლის 5 მარტის №24/37 წერილი

ეცნობა, რომ „წერილი“ შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

ყურადსაღებია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის[43] თანახმად, თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამასთან, განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

ადმინისტრაციული საჩივრის ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გადაგზავნის შესახებ შეტყობინება მწვანე ალტერნატივამ ერთი კვირის დაგვიანებით ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღო, ისიც, მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია თავად შეეცადა, გაერკვია საჩივრის ბედი. ამგვარი ქმედების დაუსაბუთებლობა, ალბათ არც არის გასაკვირი - საკმაოდ ძნელია მოიფიქრო იმის დასაბუთება, თუ რატომ ავალებ (საჩივრის თანხმად) „კანონის დამრღვევს“ (ასევე, საჩივრის თანხმად) კანონდარღვევაზე რეაგირებას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს „რეაგირება“ კი, შემდეგში გამოიხატა - სამინისტროს იურიდიული დეპატრამენტის უფროსმა მწვანე ალტერნატივას აცნობა, რომ *„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილება, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე, საჩივრდება სასამართლოში“*.

ამ შემთხვევაში, მწვანე ალტერნატივას სასამართლოსთვის არ მიუმართავს, რადგან „„გაფუჭებული ტელეფონის“ თამაშის“ დასასრულისთვის ორგანიზაციამ საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ტექსტს მიაგნო, ამიტომ ორგანიზაციამ გადაწყვიტა ხელშეკრულებაზე დაყრდნობით ეცადა ინფორმაციის მოპოვება.

3.2 მცდელობა II - საიდუმლოა შეთანხმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2010 წლის ივნისში მწვანე ალტერნატივამ საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედთან“ (ამჟამად „ჯორჯიან გლობალ უთილითის ლიმითედი“) დადებული ხელშეკრულების ასლი აღმოაჩინა. როგორც ხელშეკრულების ტექსტიდან გაირკვა, პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის განკარგულების შესაბამისად, შეიცავს მთელ რიგ გარემოსდაცვით ვალდებულებებს. ასე, მაგალითად:

- **ხელშეკრულების მუხლი 11.2 „მომსახურებების გაწევა“**

„მას შემდეგ რაც მყიდველი წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად საკუთარ თავზე აიღებს „კომპანიის“ და „საწარმოების“ მართვას მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს რომ „კომპანია“ და „საწარმოები“:

ბ) დაიცავენ მოქმედ კანონმდებლობას (მათ შორის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში), განსაკუთრებით საფრთხის შემცველ ადგილმდებარეობებთან ურთიერთობისა და საშიშ

[43] მუხლი 80. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნა

ნივთიერებაზე ხელით შეხების დროს, მათ შორის იგულისხმება დაქლორვის დანადგარების, მაღალი ძაბვის, ამწე მოწყობილობებისა და შეკუმშული აირის ბალონების და ინსტრუმენტების კომპლექტის ადგილმდებარეობა, აგრეთვე საშიში ქიმიკატების შენახვის მეთოდები, და უნდა უზრუნველყოს ადგილი უსაფრთხო და პირველადი დახმარების მოწყობილობებით „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების“ პირობების შესაბამისად;
გ) შეძლებენ წყალმომარაგების სისტემების სათანადო ექსპლუატაციას, შენახვას, მომსახურებასა და შეცვლას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.“

- **მუხლი 11.6 „მყიდველის“ ზოგადი ვალდებულებები**

„11.6.1 თბილისთან მიმართებაში
(ა) წყლის ხარისხი მუდმივად შეესაბამებოდეს „ჯანმოს“ (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი (დანართი №6);
(ვ) ქალაქი ძველი საზღვრების ფარგლებში (2006 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც ნაჩვენების წინამდებარე ხელშეკრულების №4 დანართში) 2011 წლიდან და შემდეგ უწყვეტად 24 საათის განმავლობაში მომარაგდეს წყლით, მაგრამ 2011 წლამდე არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი დანართი №7 შესაბამისად;
(ზ) ქალაქის ახალი საზღვრების (როგორც ნაჩვენებია წინამდებარე ხელშეკრულების №5 დანართში) ფარგლებში 2015 წლიდან და შემდგომში იყოს უწყვეტად 24-საათის განმავლობაში მომარაგდეს წყლით, მაგრამ 2015 წლამდე არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
(თ) არა უგვიანეს 2012 წლისათვის ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში აღმოიფხვრილ იქნეს კანალიზაციის ჩადინება მდ. მტკვარში;

11.6.2 შპს „საქწყალკანალთან“ მიმართებაში
(ა) გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წელიწადში;
(ბ) გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და ახალი საკოლექტორო სისტემა შეიქმნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადაში;

11.6.3 მცხეთასთან მიმართებაში
(ე) წყლის ხარისხი მუდმივად შეესაბამებოდეს „ჯანმოს“ (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ იყოს მცხეთაში დღეს არსებულზე უარესი დანართი №6 შესაბამისად;
(ვ) მცხეთა 2011 წლიდან და შემდგომში უწყვეტად (24 საათიანი) მომარაგდეს წყლით, მაგრამ 2011 წლამდე არ იყოს მცხეთაში დღეს არსებულზე უარესი დანართი №7 შესაბამისად“.

ამასთანავე, ხელშეკრულების 11.6.4 მუხლის თანახმად, „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი“ ვალდებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ქ. თბილისის მთავრობას ექვს თვეში ერთხელ და ცალკეული მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ხელშეკრულების პირობების შესრულების ამსახველი ანგარიში. მწვანე ალტერნატივა შეეცადა ორივე უწყებიდან მოეპოვებინა კომპანიის მიერ წარდგენილი ანგარიშები.

3.2.1 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხი

2010 წლის 26 აგვისტოს მწვანე ალტერნატივამ მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მოითხოვა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის გადმოცემა. კერძოდ, ორგანიზაცია შეეცადა მოეპოვებინა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- რამდენად იცავს კომპანია სამინისტროში ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ ექვს თვეში ერთხელ ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას?[44] ორგანიზაციამ მოითხოვა ასევე, წარდგენილი ანგარიშების ასლი;
- იმ „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების“[45] ამსახველი დოკუმენტი, რომელთა შესაბამისად მყიდველმა უნდა მართოს და შეინარჩუნოს აქტივები; ვის მიერ და როდის არის დამუშავებული და დამტკიცებული აღნიშნული მეთოდები (კონკრეტული ორგანო, კონკრეტული სამართლებრივი აქტი);
- უზრუნველყოფილია, თუ არა „მყიდველის“ მიერ აქტივების მართვა და შენარჩუნება „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების“ პირობების შესაბამისად;
- შეიცავს, თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით? თუ შეიცავს, ორგანიზაცია ითხოვდა კონკრეტულ ვალდებულებებზე მითითებას;
- შეესაბამება, თუ არა წყლის ხარისხი ქ. მცხეთაში „ჯანმოს“ ტექნიკურ რეგლამენტს; ორგანიზაცია ითხოვდა შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტს;
- სრულდება, თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდევლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- რა ოდენობის ინვესტიცია იყო განხორციელებული „მყიდველის“ მიერ;
- ასევე, მწვანე ალტერნატივა ითხოვდა ხელშეკრულებაში მოხსენიებულ რამოდენიმე სამართლებრივ აქტს, კერძოდ: საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის #245 და 2008 წლის 14 მაისის #323 განკარგულებების, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის #325 განკარგულებისა და ქ.თბილისის მერის 2008 წლის 13 მაისის #310 განკარგულების ასლებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტრომ საკმაოდ ოპერატიულად (10 დღიანი ვადის დაცვით) უპასუხა მწვანე ალტერნატივას, თუმცა მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობდა დასმულ კითხვებს.

ანგარიშების წარდგენასთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ორგანიზაციას აცნობა, რომ 2009 წლის ნოემბერში „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი“ (ამჟამად „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ლიმითედი“) დაჯარიმდა 12 ათასი ლარით ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ამ პასუხიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ 2009 წლის მაისში, 2009 წლის ნოემბერში და 2010 წლის მაისში კომპანიამ პირნათლად შეასრულა ანგარიშების წარდგენის ვალდებულება. თუმცა, ანგარიშების ასლების გადმოცემის მოთხოვნაზე პასუხად, სამინისტრო <u>მხოლოდ მიუთითებდა</u>, რომ სამინისტროში წარდგენილია საწარმოებზე დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების გადახდის შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ძალზე უცნაური და ამასთანვე მრავლისმეტყველი იყო სამინისტროს პასუხი „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების“ ამსახველი დოკუმენტისა და მასთან შესაბამისობის შესახებ

[44] ამ პერიოდისთვის „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ ანგარიში უკვე ოთხჯერ უნდა ჰქონოდა წარდგენილი: 2008 წლის ნოემბერში, 2009 წლის მაისში, 2009 წლის ნოემბერში და 2010 წლის მაისში.

[45] ხელშეკრულების 11. მუხლი „„მყიდველის“ მიმდინარე ვალდებულებები“; 11.1 „მას შემდეგ, რაც „მყიდევლი“ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად საკუთარ თავზე აიღებს „კომპანიის“ და „საწარმოების“ მართვას „მყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „კომპანია“ და „საწარმოები“ შესძლებენ აქტივების (ან ნებისმიერი მისი წილის ან მისი შემცვლელის) მართვას და შენარჩუნებას „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების“ პირობების შესაბამისად.

ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით. სამინისტრო მწვანე ალტერნატივას ურჩევდა ამ ინფორმაციის მოთხოვნით „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისათვის“ მიემართა; ფაქტიურად, სამინისტრო აღიარებდა, რომ არ ჰქონდა იმ სახელმძღვანელო პრინციპების ამსახველი დოკუმენტი, რომელთან შესაბამისობაც უნდა გაეკონტროლებინა.

გარდაბნის გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციაზე და ახალი საკოლექტორო სისტემის შექმნაზე, სამინისტროს პასუხის თანახმად, „„მყიდველი“ ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი აუდიტის დასკვნა ნაკისრი ვალდებულებების დასრულების ვადის დადგომის შემდეგ 2 თვის ვადაში“. ყურადსაღებია, რომ ხელშეკრულებაში მსგავსი დათქმა არ არსებობს. ამასთანავე, ეს ნიშნავს, ამ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს სამინისტრო არ აკეთებს.

ქ. მცხეთაში სასამელი წყლის „ჯანმოს“ (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის) ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის თაობაზე სამინისტროს პასუხში აღნიშნული იყო, რომ „მყიდველის მიერ ინფორმაციის სახით წარმოდგენილია ცენტრალური ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველთვიურად, რომლის დასკვნა აკმაყოფილებს სასმელი წყლის სახელმწიფო სტანდარტს“. აღნიშნულის დასტურად, წერილს თან ერთვოდა სამგორისა და ღრმაღელეს გამწმენდ ნაგებობებზე და არაგვის ხეობაში 2009 წლის ნოემბრიდან 2010 წლის მარტის ჩათვლით (ანუ 6 თვის) ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის დასკვნები. მწვანე ალტერნატივასათვის უცნობი დარჩა დანარჩენი 18 თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგები. ამასთან, თუნდაც 6 თვის განმავლობაში ჩატარებული ანალიზების დასკვნები არაფერს ამბობდა „ჯანმოს “ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე; ხოლო გამწმენდ ნაგებობებზე აღებული სინჯების ანალიზის შედეგები (მიუხედავად იმისა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია) არაფერს ამბობს მომხმარებლისათვის მიწოდებული წყლის ხარისხზე.

"ჯორჯიან გლობალ უუთილითის"

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს
თბილისის მერის
საქართველოს მთავრობას (სახელმწიფო კანცელარიას)

ბატონო,

...ალ" 100 % წილის ...ობის ხელშეკრულებით, რომელიც 2008 წლის 14 მაისს დაიდო საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, თბილისის მერიას და "სალტაპლექს ენერჯი ლიმიტედ"-ს შორის (ამჟამად - "ჯორჯიან გლობალ უუთილითის"), გეგზავნით ნახევარი წლის ჭრილში აღებულები ხელშეკრულებით ნაკისრი კალდებულებების შესრულების შესახებ.

სულ კაპიტალურმა დანახარჯებმა 2009 წლის ნოემბრიდან 2010 წლის მაისის ჩათვლით შეადგინა 13.9 მილიონი ლარი (იხ. დანართი #1). მათ შორის სულ განხორციელდა 12.70 მილიონი ლარის ღირებულების 113 სამშენებლო პროექტი (იხ. დანართი #1).

რაც შეეხება ქალაქ თბილისის 24-საათიან წყალმომარაგებას, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამჟამად ქალაქ თბილისის 87 %-ის სასმელი წყლით მომარაგება (ძველ საზღვრებში) გრაფიკის გარეშე ხორციელდება. ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაოების შესახებ გთხოვთ იხილოთ თანდართული დანართი #2.

სასმელი წყლის ხარისხი ზემოხსენებულ პერიოდში შენარჩუნდა დაახ. გაუუმჯობესდა და შეესაბამება. მნიშვნელოვანია ორგანიზაციის სტანდარტებს (იხ. დანართი #3).

ბოლოს ამბავი, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ჩამდინარე და საკანალიზაციო წყლების მდინარე მტკვარში ჩაშვება 0.2 %-ით შემცირდა იმ სამუშაოების წყალობით, რომლებიც ბოლოდროს საკანალიზაციო ქსელზე შესრულდა (იხ. დანართი #4).

...ი რაიმე შეკითხვა გეგულებოდეთ, გთხოვთ, ნებისმიერ დროს დაუკავშირდეთ!

პატივისცემით,

...

დირექტორი
"ჯორჯიან გლობალ უუთილითის"
2010 წლის 14 მაისი

საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხად, სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას გადასცა კომპანიის მიერ 2010 წლის 14 მაისს წარდგენილი ანგარიშის თავფურცელი. „თავფურცელის“ თანახმად, „ჯორჯიან გლობალ უითილითის“ დირექტორი, ნერიუს ვეიკსა სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობისა და საქართველოს მთავრობას აცნობებდა: *„სულ კაპიტალურმა დანახარჯებმა 2009 წლის ნოემბრიდან 2010 წლის მაისის ჩათვლით შეადგინა 13.9 მილიონი ლარი (იხ. დანართი 1). მათ შორის სულ განხორციელდა 12.70 მილიონი ლარის ღირებულების 113 სამშენებლო პროექტი (იხ. დანართი 1). რაც შეეხება ქალაქ თბილისის 24-საათიან წყალმომარაგებას, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამჟამად ქალაქ თბილისის 87%-ის წყლით მომარაგება (ძველ საზღვრებში) გრაფიკის*

გარეშე ხორციელდება. ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაოების შესახებ, გთხოვთ, იხილოთ დანართი #2. სასმელი წყლის ხარისხი ზემოხსენებულ პერიოდში შენარჩუნდა და/ან გაუმჯობესდა და შეესაბამება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტებს (იხ. დანართი#3). გარდა ამისა, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ჩამდინარე და საკანალიზაციო წყლების მდინარე მტკვარში ჩაშვება 0.2 %-ით შემცირდა იმ სამუშაოების წყალობით, რომელიც მიწისქვეშა საკანალიზაციო ქსელზე შესრულდა (იხ. დანართი #4)".

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა და მწვანე ალტერნატივას გადასცა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის #245 და 2008 წლის 14 მაისის #323[46] განკარგულებების და საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის #325 განკარგულების ასლები. სამინისტროს ორგანიზაციისთვის არ მიუწოდებია მხოლოდ ქ.თბილისის მერის 2008 წლის 13 მაისის #310 განკარგულების ასლი, რომელიც სავარაუდოდ არ ინახებოდა სამინისტროში, ხოლო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა არ ჩათვალა საჭიროდ ამის შესახებ ეცნობებინა მწვანე ალტერნატივასათვის.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ძალზე ზედაპირული იყო და ეჭვებს ბადებდა სამინისტროს მიერ წარმოებული მონიტორინგის ხარისხზე; ამდენად, მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა უწყებას უფრო ღირებული ინფორმაციის მიღების იმედით.

2010 წლის 29 სექტემბერს მწვანე ალტერნატივამ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ახალი მოთხოვნით მიმართა. ამჯერად, ორგანიზაცია ითხოვდა:

1. „ჯორჯიან გლობალ იუთილითის ლიმითედის" მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;
2. კომპანიის მიერ სამინისტროსათვის 2008 წლის ნოემბერში (ჯარიმის გადახდის შემდეგ), 2009 წლის მაისში და ნოემბერში წარდგენილი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ამსახველ ანგარიშებს დანართებით;
3. კომპანიის მიერ დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს;
4. იმ კრიტერიუმების/პირობების ამსახველი დოკუმენტის ასლს, რომლითაც ხელმძღვანელობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო „მყიდველის" მიერ ხელშეკრულების 5.2, 11.1 და 11.5 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების მონიტორინგისას;
5. „ჯორჯიან გლობალ იუთილითის" მიერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის 2010 წლის 14 მაისს წარდგენილი ანგარიშის დანართებს:
   - კომპანიის მიერ გაწეული კაპიტალური დანახარჯებისა და განხორციელებული სამშენებლო პროექტების თაობაზე;
   - ქ. თბილისის 24-საათიანი წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად შესრულებული სამუშაოების თაობაზე; და
   - საკანალიზაციო ქსელზე შესრულებული სამუშაოების თაობაზე.
6. ქ. თბილისში, ქ. მცხეთაში და ქ. რუსთავში საწარმოების გაყიდვის მომენტში წყლის ხარისხის ამსახველი დოკუმენტების ასლს.

აქ კი დამთავრდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „კეთილგანწყობა", „გამჭირვალობა" და „დემოკრატიულობა". მართალია, ამ შეთხვევაში, სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას უპრეცენდენტო ოპერატიულობით (2 დღეში) უპასუხა, მაგრამ პასუხი ხანგრძლივი

[46] რომელიც მანამდე არ გამოქვეყნებულა და რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მწვანე ალტერნატივას არ გადასცა მოთხოვნის მიუხედავად.

სასამართლო დავის მიზეზი გახდა. კერძოდ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას აცნობა, რომ უწყებამ ორგანიზაციას პასუხი წინა წერილით გასცა (ანუ იმ წერილით რომელიც გახდა ინფორმაციის დამატებით მოთხოვნის მიზეზი!).

პასუხიდან გასაგები იყო, რომ დამატებითი ახსნა-განმარტებები აზრს მოკლებული იყო, ამიტომ მწვანე ალტერნატივა დაადგა უკვე მრავალჯერ ნაცად გზას და სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

3.2.2 საქალაქო სასამართლო: არ შექმნილი ინფორმაციის გასაიდუმლოებაც შესაძლებელია!

2010 წლის 15 ოქტომბერს მწვანე ალტერნატივამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა და სასამართლოს სთხოვა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის ზემოჩამოთვლილ საკითხებზე ინფორმაციის მოწოდების დავალება.

სასამართლომ[47] გადაწყვიტა დავაში მესამე მხარედ „ჯორჯიან გლობალ უითილითის ლიმითედის“ ჩართვა, რაც სასამართლოს რამოდენიმე სხდომის გადადების მიზეზი გახდა. „ჯორჯიან გლობალ უითილითის ლიმითედის“ წარმომადგენელს[48] ხან რწმუნება არ ჰქონდა, ხან მარწმუნებელი ორგანიზაციის რეესტრის ამონაწერი, ხან კი, ის უბრალოდ არ ცხადდებოდა სხდომაზე. საბოლოოდ, 20011 წლის 14 იანვრის სხდომაზე, მოსამართლემ საქმის განხილვა კომპანიის წარმომადგენლის გარეშე დაიწყო. აღსანიშნავია, რომ „ჯორჯიან გლობალ უითილითის ლიმითედის“ წარმომადგენელი აღარ გამოცხადებულა სასამართლოს არცერთ შემდეგ სხდომაზე. მართლაც, მისი დასწრება ნაკლებად საჭირო იყო, რადგან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მის ნაცვლად იცავდა კომპანიის უფლებებს.

სასამართლოზე მწვანე ალტერნატივამ პირველად მოისმინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ აწოდებდა უწყება მოთხოვნილ ინფორმაციას. გაირკვა, რომ მწვანე ალტერნატივას მოთხოვნაზე უარის თქმისას სამინისტრო ხელმძღვანელობდა:

1. „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედთან“ (ამჟამად „ჯორჯიან გლობალ უითილითის ლიმითედი“) დადებული ხელშეკრულების 14.1 მუხლით, რომლის თანახმად, „არცერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას „წილის“ ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი რეწილობითი თანხმობის გარეშე“; და
2. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების 12.4 მუხლით, რომლის თანახმად, “ინფორმაცია, წინადადებები და შეთანხმებები, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში ითვლება კონფიდენციალურად და შესაბამისად, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მხარეებმა არ უნდა შეატყობინონ სხვა ფიზიკურ პირს რაიმე ინფორმაცია, რომლიც უკავშირდება წინამდებარე ხელშეკრულებას“.

სამინისტრო ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულების ზემოთმოყვანილი დებულებების თანახმად, უწყება ვალდებული იყო არ დაკმაყოფილებინა მწვანე ალტერნატივას მოთხოვნა, რადგან ორგანიზაცია

[47] საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მო-სამართლემ, ნანა დარასელიამ.

[48] ბესიკ კობერიძე

ითხოვდა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელიც ხელშეკრულებასთან ერთად წარმოადგენდა „ჯორჯიან გლობალ უითილითის ლიმითედის“ კომერციულ საიდუმლოებას.

განსაკუთრებით საინტერესო იყო სამინისტროს განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ არ აწვდიდა უწყება მწვანე ალტერნატივას თბილისში, მცხეთაში და რუსთავში საწარმოების გაყიდვის მომენტში წყლის ხარისხის ამსახველ დოკუმენტებს. სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია წარმოდგენილია ხელშეკრულების ერთ-ერთ დანართში და როგორც ხელშეკრულების ნაწილი, წარმოადგენს კომპანიის კომერციულ საიდუმლოებას.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ისევე როგორც ხელშეკრულების გადმოცემასთან დაკავშირებულ დავაში, ხელშეკრულების 14.1 მუხლის არასრულ ციტირებას ეყრდნობოდა და შესაბამისად, სპეკულაციურ დასკვნებს აკეთებდა. სამინისტრო მალავდა იმ ფაქტს, რომ ხელშეკრულების ეს მუხლი შეიცავდა დათქმას, რომლის თანხმად, *„ორივე მხარე უფლებამოსილია გააკეთოს განცხადება „წილის“ ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ, თუ ეს მოითხოვება: 14.2.1. სათანადო იურისდიქციის მქონე კანონმდებლობით; 14.2.2 სავაჭრო ბირჟის ან მარეგულირებელი ან სამთავრობო თუ საგასახადო ორგანოს (მათ შორის, თვითმმართველობის ორგანიზაციის) მიერ ან სათანადო იურისდიქციის რომელიმე მოქმედი კანონმდებლობით ან სასამართლო ბრძანებით, რომელსაც ექვემდებარება ან დაექვემდებარება რომელიმე მხარე მისი ადგილმდებარეობის მიუხედავად და იმის მიუხედევად, აქვს თუ არა ამგვარ მოთხოვნას კანონის ძალა“.*

მწვანე ალტერნატივა შეეცადა აეხსნა მოსამართლისათვის, რომ გარდა იმისა, რომ თავისთავად ეს მუხლი არის უკანონო - რადგან, ითხოვს „წილის“ ნასყიდობასთან დაკავშირებული ნებისმიერი (ანუ, არამარტო კონკრეტული კომერციული საიდუმლოების შემცველი, არამედ, ნებისმიერი საჯარო ინფორმაციის) საკითხის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოებას - ის არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების პირობების შესრულების ამსახველი ანგარიშის გასაიდუმლოების შესახებ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ (მიიჩნიოს ან არ მიიჩნიოს კომერციულ საიდუმლოებად); ანუ, საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინფორმაცია წარდგენილი იქნება უწყებაში. ინფორმაციის წინასწარ, ანუ შექმნამდე გასაიდუმლოება, მისი შინაარსისგან დამოუკიდებლად, ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ წესს. შესაბამისად, 2008 წლის 14 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში ვერანაირად ვერ მოხვდებოდა საჯარო უწყების გადაწყვეტილება ამ თარიღის შემდეგ შექმნილი დოკუმენტების (ანგარიშების) გასაიდუმლოების შესახებ.

რაც შეეხება 2009 წლის 22 დეკემბერს გაფორმებულ შეთანხმების 12.4 მუხლს, ის ეხება თავად შეთანხმებაში მოცემული ინფორმაციის კონფიდენციალობას და ვერცერთ შემთხვევაში ვერ განიხილება როგორც გადაწყვეტილება რაიმე სხვა დოკუმენტის გასაიდუმლოების შესახებ.

განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პოზიციაში ის იყო, რომ საჯარო უწყება ურჩად ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულება კომპანიის კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი საჯარო რეესტრის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე იყო გამოქვეყნებული. ამასთან,

სასამართლოს მიმდინარეობისას, 2010 წლის 10 დეკემბერს, საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე ხელშეკრულების ტექსტის ქართული და ინგლისურენოვანი ვერსია დანართებით (მათ შორის თბილისში, მცხეთაში და რუსთავში საწარმოების გაყიდვის მომენტში წყლის ხარისხის ამსახველი დანართით) განთავსდა და ამჯერად დოკუმენტი საწარმოს უფლებამოსილი პირის მიერ იყო წარდგენილი[49]; მწვანე ალტერნატივამ დოკუმენტი სასამართლოს დამატებითი მტკიცებულების სახით წარუდგინა.

წინააღმდეგობრივობაში სამინისტროს არ ჩამორჩა და გადააჭარბა კიდეც საქალაქო სასამართლომ, რომელმაც დაადგინა[50], რომ მწვანე ალტერნატივას საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს. კერძოდ, ორგანიზაციას უნდა გადაეცეს თბილისში, მცხეთაში და რუსთავში საწარმოების გაყიდვის მომენტში წყლის ხარისხის ამსახველი დოკუმენტაცია, რადგან ეს არის ინფორმაცია გარემოს შესახებ, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ორჰუსის კონვენციის თანახმად ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. თუმცა, იმავდროულად სასამართლომ დაადგინა, რომ კომპანიის მიერ სამინისტროში ანგარიშგების მიზნით წარდგენილი იმავე შინაარსის დოკუმენტები (თბილისში, მცხეთაში და რუსთავში წყლის ხარისხის ამსახველი ყოველთვიური ანგარიშები), კომპანიის კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. უფრო მეტიც, სასამართლომ გაიზირა ის მოსაზრება, რომ იმ დროისთვის წარდგენილი და ყველა მომავალში წარსადგენი ანგარიშის კომერციულ საიდუმლობად მიიჩნევის შესახებ გადაწყვეტილება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2008 წლის 14 მაისს ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას მიიღო. შესაბამისად, თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის გაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ ინფორმაცია/ანგარიშები არ უნდა გახდეს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

გადაწყვეტილების განსაკუთრებული აბსურდულობა იმაშიც მდგომარეობდა, რომ სასამართლომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაავალა მწვანე ალტერნატივასთვის იმ დოკუმენტის გადაცემა რომელიც, საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე იყო განთავსებული და რომელიც, მწვანე ალტერნატივამ თავად წარუდგინა სასამართლოს დამატებითი მტკიცებულების სახით(!).

სასამართლომ მწვანე ალტერნატივას ასევე უარი უთხრა „ჯორჯიან გლობალ იუთილითის ლიმითედისათვის“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ანგარიშების წარუდგენლობის გამო დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლისა და კომპანიის მიერ დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების გადმოცემის მოთხოვნაზე; სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ დოკუმენტები წარმოადგენს კომპანიის ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. სასამართლოს მიმდინარეობისას მწვანე ალტერნატივა შეეცადა აეხსნა მოსამართლისათვის, რომ საზოგადოებისათვის ისედაც ცნობილი იყო როგორც ჯარიმის ოდენობა (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ თავად მიუთითა თანხა მწვანე ალტერნატივასათვის გაგზავნილ წერილში), ისე დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების ოდენობა (დადგენილი იყო პრეზიდენტის განკარგულებით), ამდენად, მოთხოვნილი დოკუმენტები მხოლოდ გადახდის ფაქტს და შესაბამისად, „ჯორჯიან გლობალ

[49] საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე ხელშეკრულების ტექსტის პირველად განთავსებისას კომპანია ამტკიცებდა, რომ დოკუმენტი საჯარო რეესტრის თანამშრომლების დაუდევრობით გამოქვეყნდა.

[50] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება 2011 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №3/4261-10წ, მოსამართლე ნანა დარასელია.

იუთილითის ლიმითედის“ კეთილსინდისიერებას დაადასტურებდა და მეტს არაფერს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს განმარტებაც არადამჯერებლი აღმოჩნდა მოსამართლისთვის.

3.2.3 სააპელაციო სასამართლო

2011 წლის 10 მარტს მწვანე ალტერნატივამ სააპელაციო სასამართლოს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ დავის საგანი „ჯორჯიან გლობალ იუთილითის ლიმითედის“ საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გადმოცემა იყო, კომპანიის წარმომადგენელი არც სააპელაციო სასამართლოში გამართულ ერთადერთ სხდომას დასწრებია.

2011 წლის 19 აპრილს სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე მოსამართლე 50 წუთის განმავლობაში გულისყურით ისმენდა მხარეების განმარტებებს. ამ ანგარიშში ხსენებული ყველა სხვა მოსამართლისაგან განსხვავებით, მოსამართლე თეა ძიმისტარაშვილს არ დასჭირდა დამატებითი დრო, „საქმის სირთულიდან გამომდინარე“, გადაწყვეტილების მისაღებად და მან სხდომის დასასრულსვე გამოაცხადა, რომ არ აკმაყოფილებდა მწვანე ალტერნატივას საჩივარს.

მოგვიანებით, საქართველოს სახელით მიღებულ განჩინებაში მოსამართლემ აღნიშნა, რომ სრულად იზიარებდა და ეთანხმებოდა საქალქო სასამართლოს გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, მოსამართლე აღნიშნავდა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია წყლის ხარისხის ამსახველი დოკუმენტაცია საჯარო ინფორმაციად და მართებულად დააკმაყოფილა ორგანიზაციის მოთხოვნა ამ დოკუმენტის გადაცემაზე. *„რაც შეეხება სხვა მოთხოვნილ ინფორმაციას, მათ შორის კომპანიის მიერ გაწეული კაპიტალური დანახარჯებისა და განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციას, სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული არ წარმოადგენს „ისეთ ფაქტორებს“ რომელიც გავლენას ახდენს გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტის მდგომარეობაზე, როგორიცაა წყალი. აპელანტს, არც ვარაუდის დონეზე არ დაუსაბუთებია, თუ რა გავლენას ახდენს მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გარემოს შემადგენელ ელემენტზე (წყალი)“*[51].

მწვანე ალტერნატივას მართლაც რომ არ დაესაბუთებინა, თუ რა გავლენას ახდენს წყლის ხარისხზე წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ვფიქრობთ, არ უნდა ყოფილიყო რთული ამ ორ გარემოებას შორის კავშირის დანახვა; აქვე გვსურს დავარწმუნოთ მკითხველი, რომ მწვანე ალტერნატივამ ორივე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს დეტალურად განუმარტა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია ეხებოდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების საწარმოების ახალმა მფლობელმა განახორციელა მოსახლეობის წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად, წყლის დანაკარგების შესამცირებლად, წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მდ. მტკვარში საკანალიზაციო წყლების ჩადინების აღმოსაფხვრელად და სხვ. სხვა სიტყვებით, მწვანე ალტერნატივა ითხოვდა ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარების შემთხვევაშიც ნაკლები ზიანი მიადგებოდა გარემოს და ადამიანთა ჯანმრთელობას.

3.2.4 უზენაესი სასამართლო ტრადიციას არ არღვევს

2011 წლის ივნისში მწვანე ალტერნატივამ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა.

[51] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე №3ბ/571-11

მწვანე ალტერნატივა იმედოვნებდა, რომ უზენაესი სასამართლოს მაინც ჩათვლიდა მნიშვნელოვან დაღვევად ორი სხვადასხვა დროს შექმნილი იდენტური შინაარისის მქონე დოკუმენტიდან ერთის გარემოსდაცვით, ანუ საჯარო ინფორმაციად, ხოლო მეორეს - კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევას.

სამწუხაროდ, მწვანე ალტერნატივას მოლოდინი ფუჭი აღმოჩნდა. 2011 წლის 12 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ[52] მწვანე ალტერნატივასათვის უკვე ტრადიციული გადაწყვეტილება მიიღო: მწვანე ალტერნატივას კასაცია დაუშვებლად იქნა მიჩნეული და შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის განჩინება ძალაში დარჩა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების თანახმად, მწვანე ალტერნატივას მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი <u>არ იყო მნიშვნელოვანი სასამართლოს განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან და</u> <u>არც სააპელაციო სასამართლოს განუხილავს საქმე იმდენად მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომ ამას არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე</u>.

3.2.5 თბილისის მთავრობა განმარტებებს მხოლოდ სასამართლოს აძლევს

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელშეკრულების 11.6.4 მუხლის თანახმად, თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყლამომარაგების სისტემების ახალი მფლობელი ვალდებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და თბილისის მთავრობას ექვს თვეში ერთხელ წარუდგინოს ხელშეკრულების პირობების შესრულების ამსახველი ანგარიში. ამის გათვალისწინებით, 2010 წლის აგვისტოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის მიმართვის პარალელურად, მწვანე ალტერნატივამ იგივე ინფორმაცია[53], მხოლოდ თბილისის წყალმომარაგებასთან დაკავშირებით, თბილისის მთავრობას მოსთხოვა.

თბილისის მთავრობამ წერილი რეაგირებისათვის თბილისის მერიის სსიპ-ის ქონების მართვის სააგენტოს გადაუგზავნა. აღსანიშნავია, რომ საკითხი არ შედიოდა სააგენტოს კომპეტენციაში[54] და შესაბამისად, არც სააგენტოს გამოუჩენია წერილზე პასუხის გაცემის განსაკუთრებული მონდომება. ამიტომ, 2010 წლის 15 ოქტომბერს მწვანე ალტერნატივამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა.

---

[52] ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა შემდეგი შემადგენლობით: ლევან მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხენებელი), მაია ვაჩაძე, პაატა სილაგაძე.

[53] იხ. თავი 3.2.1

[54] სააგენტოს უფლებამოსილება განსაზღვრულია „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N 08.32.412 დადგენილებით. დებულების თანახმად, პრივატიზებული საწარმოების მონიტორინგი არ შედის სააგენტოს კომპეტენციაში.

<u>განმარტება იმის თაობაზე, თუ რატომ არ მიაწოდა თბილისის მთავრობამ მწვანე ალტერნატივას მოთხოვნილი ინფორმაცია, ორგანიზაციამ მხოლოდ საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას[55] მიიღო</u>. კერძოდ, თბილისის მთავრობა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მსგავსად, ამტიკიცებდა, რომ ხელშეკრულების პიროებების შესრულების ანგარიში ხელშეკრულების მუხლით არის გასაიდუმლოებული[56]. *„დღეის მდგომარეობით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს სწორედ კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინფორმაციას, რომელიც იზიარებს ძირითადი ხელშეკრულების ბედსა და სამართლებრივ სტატუსს. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული ხელშეკრულების ტექსტთან, ასევე წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას. მოსარჩელე ითხოვს ინფორმაციას იმ ხელშეკრულების შესრულების შესახებ, რომელიც იმყოფება შეზღუდულ სამართლებრივ რეჟიმში და <u>აღნიშნული ინფორმაციის გაცემის შემთხვევაში, ვინაიდან იგი ორგანულ კავშირშია ხელშეკრულებასთან, მხარისათვის ცნობილი გახდება ასევე ხელშეკრულების ტექსტი და დანართები, რომელიც დაუშვებელია, რომ ხელშეკრულების ყოველი მხარის თანხმობის გარეშე გახდეს ცნობილი მესამე მხარისათვის</u>“* - აღნიშნულია თბილისის მთავრობის მიერ საქალაქო სასამართლოსათვის წარდგენილ შესაგებელში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროისათვის ხელშეკრულების ძირითადი ტექსტი, რომლის საიდუმლოებას თბილისის მთავრობა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ, საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე იყო განთავსებული. თბილისის მთავრობა სასამართლოზე აცხადებდა, რომ ხელშეკრულება საჯარო რეესტრის დაუდევრობის გამო განთავსდა ვებ-გვერდზე, ამიტომ დოკუმენტი კვლავ გასაიდუმლოებულ ინფორმაციად ითვლებოდა. თბილისის მთავრობის ეს არგუმენტი „ოდნავ“ შესუსტდა, როდესაც (2010 წლის 10 დეკემბერს, სასამართლო დავის მიმდინარეობისას), საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე ხელშეკრულების ტექსტის ქართული და ინგლისური ვერსია დანართებითურთ განთავსდა და ამჯერად დოკუმენტი საწარმოს უფლებამოსილი პირის მიერ იყო წარდგენილი. ამ ფაქტის შემდეგ, თბილისის მთავრობის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ მათ არ მიუღიათ კომპანიის წერილობითი თანხმობა, ამიტომ უწყებისთვის დოკუმენტი კომერციულ საიდუმლოებად რჩებოდა.

მკითხველს თავს არ შევაწყენთ სასამართლო განხილვის დეტალებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საქალაქო სასამართლოში მწვანე ალტერნატივას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. კერძოდ, თბილისის მთავრობას დაევალა მწვანე ალტერნატივასათვის გადაეცა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- შეიცავს თუ არა ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;
- სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; და რაში გამოიხატება აღნიშნული;
- ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრეზიდენტისა და მთავრობის განკარგულებები.

მწვანე ალტერნატივას დანარჩენი მოთხოვნები საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამარ ონიანმაც გაიზიარა მოსაზრება იმის შესახებ, რომ

[55] საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ნინო ონიანმა.

[56] ამ პოზიციის გათვალისწინებით, გაუგებარი რჩება, რა მიზნით გადაუგზავნა ქ. თბილისის მთავრობამ მწვანე ალტერნატივას წერილი რეაგირებისათვის ქონების მართვის სააგენტოს.

ხელშეკრულების შესრულების ჯერ კიდევ არ შექმნილი ანგარიშები მხარეების შეთანხმებით ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს, წინასწარ იქნა მიჩნეული კომერციულ საიდუმლოებად.

საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დავის ორივე მხარემ გაასაჩივრა: მწვანე ალტერნატივამ მოითხოვა გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ორგანიზაციის მოთხოვნები, ხოლო თბილისის მთავრობამ იმ ნაწილის, რომლითაც დაევალა საჯარო ინფორმაციის გაცემა.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს საქმეზე სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება. მოსამართლე ნათია ქუთათელაძის გადაწყვეტილებით, მწვანე ალტერნატივას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის მთავრობის ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. კერძოდ, <u>გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც თბილისის მთავრობას დაევალა მწვანე ალტერნატივასათვის მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინფორმაციის გადაცემა</u>. საინტერესოა, რომ ამ გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებაში მოსამართლე წერს: *„პალატა ეთანხმება საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვილი ინფორმაცია იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობას და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუ შეიცავს, მიეთითოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის კონკრეტული ვალდებულებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში და <u>სრულდება თუ არა მდ.მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით "მყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული - წარმოადგენს წყლის ხარისხის ამსახველ და შესაბამისად, გარემოსდაცვით ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს ღია საჯარო ინფორმაციას და შესაბამისად, მოსარჩელისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. პალატა თვლის, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად</u>“*.

სააპელაციო სასამართლოს ეს წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილება მწვანე ალტერნატივამ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. აღსანიშნავია, რომ უზენაეს სასამართლოში კასაცია თბილისის მთავრობამაც წარადგინა და მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმებაც, რომლითაც დაევალა ინფორმაციის გაცემა იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით. უზენაესს სასამართლოს ჯერ არ განუხილავს მწვანე ალტერნატივასა და თბილისის მთავრობის საჩივრები. დავის შედეგებს მწვანე ალტერნატივა თავის შემდეგ ანგარიშში მიაწვდის მკითხველს, ხოლო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებისთანავე განთავსდება ორგანიზაციის ვებ-გვერდზე[57].

ამგვარად, 2010 წლის ოქტომბერს დაწყებული სასამართლო დავის შედეგად თბილისის მერიამ მწვანე ალტერნატივას ჯერ-ჯერობით გადასცა:

1. თბილისის მერის 2008 წლის 13 მაისის #310 განკარგულების ასლი, რომლითაც მერი „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედთან“ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილებას ანიჭებდა თავის პირველ მოადგილეს - აღსანიშნავია, რომ თავიდან თბილისის მთავრობის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ მერის ეს განკარგულება ხელშეკრულებასთან იყო კავშირში და შესაბამისად, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებასთან დაკავშირებული

[57] www.greenalt.org

ინფორმაცია კომპანიის კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენდა (მიუხედავად იმისა, რომ განკარგულება ხელშეკრულების ხელმოწერამდე იყო მიღებული ?!).

2. სამგორისა და ღრმაღელის გამწმენდ ნაგებობებზე და არაგვის ხეობაში 2010 წლის მაისიდან 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით (ანუ 6 თვის) ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის დასკვნები - ისევე, როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემები, ეს დასკვნებიც არაფერს ამბობს „ჯანმოს "ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე;
3. მტკვარში ფეკალური სითხის ჩადინებების მაჩვენებლები - ერთწინადადებიანი დოკუმენტი, რომლის თანახმად, 2010 წლის მაისიდან 2010 წლის ნოემბრამდე ჩადინება 5600ლ/წმ -დან 5490ლ/წმ-მდე, ანუ 1.96%-ით შემცირდა.

4. სემეკ-ი დილემის წინაშე: კანონი, თუ კომპანიის ინტერესები?

2010 წლის ნოემბერში პრესით გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) "წყალმომარაგების ტარიფების შესახებ" დადგენილებაში[58] შეიტანა ცვლილება. რომლის თანახმად, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისა" (ანუ თბილისის, რუსთავისა და მცხეთის მოსახლეობისათვის) და „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მომხმარებელთათვის იზრდებოდა წყალმომარაგების ტარიფი.

მწვანე ალტერნატივამ მიმართა სემეკის თამჯდომარეს და მოითხოვა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მიერ მოთხოვნილი ტარიფის ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთება და ტარიფის დასადგენად წარმოდგენილ განაცხადს დართული ყველა საჯარო დოკუმენტის ასლი. მწვანე ალტერნატივა იმედოვნებდა, რომ ამ გზით მაინც შეძლებდა საწარმოების რეაბილიტაციისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებებისათვის განხორციელებული ქმედებებისა და ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის მიღებას. ამ იმედის საფუძველს კი, ორგანიზაციას რამოდენიმე გარემოება აძლევდა[59]:

1. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა მომხმარებელთა საჯარო ინფორმაციით უზრუნველყოფა;
2. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია ტარიფების დადგენის, შეცვლის ან გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებამდე მოაწყოს საჯარო განხილვები. ასეთი პროცედურის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებები ბათილია.
3. წყალმომარაგების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის მიხედვით, წყალმომარაგების ტარიფი უნდა დადგინდეს მიმწოდებლისა და მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით. წყალმომარაგების ტარიფის განსაზღვრის საფუძვლებია: (ა) მომხმარებლისათვის სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული შესაბამისი ხარისხის წყლის საიმედო მიწოდება და წყალარინება; (ბ) წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაციასთან, სასმელი წყლის მიწოდებასთან, განაწილებასა და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის მიღება–გატარებასთან და გაწმენდასთან, <u>აგრეთვე ამ სფეროში გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ხარჯების სრული ანაზღაურება;</u> (გ) სამართლიანი მოგების

[58] 2010 წლის 17 აგვისტოს #17 დადგენილება

[59] "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ"საქართველოს კანონი და „წყალმომარაგების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 29 აგვისტოს N 18 დადგენილება

გათვალისწინება, რომელიც საჭიროა წყალმომარაგების საწარმოთა საიმედო ფუნქციონირებისათვის მიმდინარე და პერსპექტიულ პერიოდებში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მწვანე ალტერნატივას დაუბრკოლებლად უნდა მიეღო მოთხოვნილი ინფორმაცია; თუმცა, ორგანიზაციამ მიიღო სემეკის აპარატის აღმასრულებელი დირექტორის წერილი, რომლითაც ეცნობა, რომ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ წარდგენილი სატარიფო განაცხადის სრული პაკეტი, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, მიჩნეული იყო კომერციულ საიდუმლოებად. ეს ნიშნავდა, რომ სემეკმა გადაწყვეტილება კანონის დარღვევით მიიღო. შეუძლებელია განსახილველი დოკუმენტების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის გარეშე მოაწყო საჯარო განხილვა, კომენტარების მიღებაზე ხომ საერთოდ ლაპარაკი ზედმეტია. სამწუხაროდ, ამ დარღვევის შესახებ მწვანე ალტერნტივამ გვიან შეიტყო, მას შემდეგ რაც გასული იყო სემიკის გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დაწესებული ერთთვიანი ვადა. ამავდროულად, ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით, ეს სასამართლო დავა ახალს არაფერს შესძენდა მწვანე ალტერნატივას, რადგან იმავე შინაარსის დოკუმენტების გადმოცემის თაობაზე სასამართლო დავაში ორგანიზაცია უკვე ჩართული იყო საქართველოს მთავრობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და თბილისის მთავრობის წინააღმდეგ.

მართალია, მწვანე ალტერნატივას არ გაუსაჩივრებია სემეკის ეს კონკრეტული დადგენილება, მაგრამ ორგანიზაცია შეეცადა გაერკვია რამდენად ხშირი იყო მსგავსი შემთხვევები სემეკის პრაქტიკაში. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე ალტერნატივას მიერ აღმოჩენილმა დარღვევებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კერძოდ:

1. ზოგადად, არ ქვეყნდება სემეკის გადაწყვეტილებები (სამართლებრივი აქტი) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;
2. უკლებლივ ყველა განცხადება „საჯარო წარმოების“ შესახებ - განურჩევლად იმისა, თუ რას ეხება საჯარო წარმოება (ელექტროენერგიის ტარიფს, წყალმომარაგების ტარიფს, კერძო დავებს თუ ლიცენზიის გაცემის საკითხს), ვრცელდება კანონის მოთხოვნათა დარღვევით. ცნობები სტანდარტული შინაარსისაა და მოიცავს შემდეგ ტექტს: *„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს ..... განაცხადის განხილვის შესახებ. დაინტერესებულ მხარეებს გთხოვთ წარმოადგინოთ წინადადებები აღნიშნულთან დაკავშირებით*“ - გაუგებარი რჩება, რას ემსახურება საჯარო განაცხადი, რომლითაც სემეკი მოქალაქეებს სთხოვს მოსაზრების წარდგენას და უმალავს (!) განსახილველ დოკუმენტებს. ეს, ვითომდა, ფორმალურად კანონის მოთხოვნების დაცვისათვის არსებული პრაქტიკა, სინამდვილეში სემეკის მხრიდან საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების უფლებების აბუჩად აგდების და დაცინვის თვალნათელი მაგალითია.
3. განაცხადს არასოდეს ერთვის განსახილველი დოკუმენტის ელექტრონული ვერსია. ასევე, სემეკის ვებ-გვერდზე განთავსებულ ვერცერთ ცნობაში იხილავს დაინტერესებული მოქალაქე მითითებას, თუ სად შეიძლება დოკუმენტის გაცნობა, ან ასლის მოპოვება;
4. საჯარო წარმოების შესახებ უკლებლივ ყველა განაცხადებაში არაფერია ნათქვამი საჯარო განხილვის (ზეპირი მოსმენის) ჩატარების დროისა და მოქალაქეებისათვის მასში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობებზე.

ამჟამად მწვანე ალტერნატივას ორი სასასამართლო დავა აქვს სემეკ-ის წინააღმდეგ:

1. მწვანე ალტერნატივა ითხოვს სემეკის მიერ 2010 წლის 17 აგვისტოს □17 დადგენილების[60] გამოცემისათვის ჩატარებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას განხილულ დოკუმენტებს. შემთხვევა განსაკუთრებით საინტერესოა რამოდენიმე გარემოების გათვალისწინებით:

- სემეკი არ აწვდის მწვანე ალტერნატივას ინფორმაციას იმ მოტივით, თითქოსდა «საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მოთხოვნით გასაიდუმლოებულია სატარიფო განაცხადის სრული პაკეტი;
- სემეკმა სასამართლოს ვერ წარუდგინა ვერც კომპანიის მოთხოვნა და ვერც სემეკის გადაწყვეტილება, რომლითაც კომერციულ საიდუმლოებად იქნა მიჩნეული საჯარო წარმოებისას განხილული ინფორმაცია;
- გაურკვეველი დარჩა, რა განიხილა სემეკმა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით; თუ სატარიფო განაცხადი სრულად გასაიდუმლოებული იყო, რისთვის აკეთებდა განაცხადს სემეკი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და კომენტარების წარდგენის შესაძლებლობის შესახებ; რატომ არ გამოცხადდა საჯარო მოსმენა დახურულად, თუკი განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია სრულად იყო გასაიდუმლოებული?
- აღნიშნულის ფონზე, განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მწვანე ალტერნატივას სასარჩელო მოთხოვნა.

საქმეს ამჟამად უზენაესი სასამართლო იხილავს.

2. მწვანე ალტერნატივა ითხოვს სემეკის მიერ 2010 წლის 26 ოქტომბერს მიღებული დადგენილების გაუქმებას, რომლითაც შპს «საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" (გარდა ფოთის თვითმმართველი ერთეულის) გამრიცხველიანებული მომხმარებლებისათვის გაიზარდა წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოხდა:

1. არ გამოქვეყნებულა სემეკის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;
2. გამოქვეყნდა გაურკვეველი შინაარსის ცნობა: „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, კომისიის 2011 წლის 6 ოქტომბრის №24/13 გადაწყვეტილების თანახმად, დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება *„წყალმომარაგების ტარიფების შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"* ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - კომისიის დადგენილების გამოსაცემად. დაინტერესებულ მხარეებს გთხოვთ წარმოადგინოთ წინადადებები აღნიშნულთან დაკავშირებით, 2011 წლის 25 ოქტომბრამდე. მის: ჩეჩელაშვილის 26, ქ. ქუთაისი". კვლავ გაუგებარია, რასთან დაკავშირებით უნდა წარედგინათ დაინტერესებულ მხარეებს წინადადებები;
3. არ გამოქვეყნებულა განსახილველი დოკუმენტები; თუკი განსახილველი დოკუმენტები მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად, არც ამის შესახებ გამოქვეყნებულა ცნობა;
4. არ გამოქვეყნებულა ცნობა ზეპირი მოსმენის ჩატარების დროის, ადგილისა და დაინტერესებული მხარეების დასწრების შესაძლებლობის შესახებ.

ზემოაღწერილი გარემოებების გამო, მწვანე ალტერნატივა ითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას. საქმეს ჯერ-ჯერობით ქუთაისის საქალაქო სასამართლო განიხილავს.

[60] დადგენილებით გაიზარდა შპს «საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" (გარდა ფოთის თვითმმართველი ერთეულის) მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფები

სემეკთან მწვანე ლატერნატივას სასამართლო დავების შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას მკითხველი მორიგ ანგარიშში იხილავს. სასამართლოს მიმდინარეობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი კი ორგანიზაციის ვებ-გვერდზე[61] განთავსდება.

5. ცოტა რამ კომპანიის პრაქტიკის შესახებ...

„მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი“[62]...

წინა თავებში ჩვენ შევეცადეთ მკითხველისათვის გვეჩვენებინა რამდენად უზრუნველყოფენ საჯარო უწყებები წყალმომარაგებასთან და წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესებისათვის განხორციელებული და/ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას. ამ თავში მკითხველი შეიტყობს რუსთავის, მცხეთისა და თბილისის წყალმომარაგების სისტემების მფლობელი კომპანიის საქმიანობის კანონთან და ოპერირების კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობის შესახებ.

5.1 ინფორმაცია მომხმარებელთათვის

როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, 2008 წლის მაისიდან „ჯორჯიან გლობალ უთილითის ლიმითედი“ ფლობს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ (ყოფილი „თბილისის წყალი“), „მცხეთის წყალს“ (ყოფილი „მცხეთაწყალკანალი) და „რუსთავის წყალს“ (ყოფილი „რუსთავწყალკანალი). ამ სამი კომპანიიდან მხოლოდ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ აქვს საკუთარი ვებ-გვერდი და როგორც წესი, ეს კომპანია საუბრობს მცხეთისა და რუსთვის წყლამომარაგების კომპანიების სახელითაც.

„"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP) წამყვანი კომპანიაა საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე. <u>ის მაღალი ხარისხის საიმედო მომსახურებას უწევს</u> თბილისისა და მისი შემოგარენის მოსახლეობას, სახელმწიფო ორგანიზაციებს, სამრეწველო და კომერციულ ობიექტებს“ - ეს არის ის ინფორმაცია, რომელის მოძიებასაც მოახერხებს დაინტერესებული მოქალაქე კომპანიის შესახებ და რომელსაც თავად კომპანია დაუღალავად ავრცელებს ყველა საშუალების გამოყენებით. კომპანიის მომსახურების ხარისხისა და საიმედოობის შესახებ ალტერნატიული ინფორმაციის კარგი წყაროა სოციალური ქსელები და ფორუმები. მაგალითად, სოციალური ქსელი „facebook”-ი, სადაც ამ თემისადმი მიძღვნილ ჯგუფებს შორის ყველაზე კორექტული დასახელება აქვს ჯგუფს „I hate georgian water and power“. მომხმარებელთა უკმაყოფილება ძირითადად გამოწვეულია წყლამომარაგების გაუფრთხილებელი და ხანგრძლივვადიანი შეწყვეტით, ასევე, კომპანიის ცხელ ხაზზე დაკავშირების სირთულეებით.

კომპანიის მიერ თავისი მომხმარებლებისთვის გავრცელებული ინფორმაცია მრავალფეროვანია (დაწყებული - წყლამომარაგების ტარიფით, დამთავრებული - წყლის დაზოგვისკენ მოწოდებით), თუმცა არ მოიცავს ინფორმაციას, რომელიც ნებისმიერ წყლის მომხმარებელს აინტერესებს და მოთხოვნის გარეშე უნდა იყოს ხელმისაწვდომი - <u>ინფორმაციას წყლის ხარისხის შესახებ</u>. კომპანია თავის მომხმარებლებს მხოლოდ არწმუნებს, რომ *„წყლის მოხმარება ონკანიდან სრულიად*

[61] www.greenalt.org

[62] ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურის სლოგანი

უსაფრთხოა თბილისში. ეს ნიშნავს, რომ სასმელი წყლის ხარისხი დედაქალაქში აბსოლუტურად აკმაყოფილებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებს. "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები უწყვეტ რეჟიმში მუშაობს. ისინი განლაგებულია კომპანიის ყველა სათავე ნაგებობაზე არაგვის ხეობასა და თბილისში. ცენტრალური ლაბორატორია კოორდინირებასა და ზედამხედველობას უწევს დანარჩენ ხუთ ლაბორატორიას. ლაბორატორიების სპეციალისტები სასმელი წყლის სინჯებს, რეგულარულად, საათში ერთხელ იღებენ"[63]. თბილისის მოსახლეობას ისღა დარჩენია ენდოს კომპანიის განცხადებას, რადგან როგორც მკითხველი უკვე დარწმუნდა, წყლის ხარისხის ამსახველი დოკუმენტები (კომპანიის მოთხოვნით და საჯარო უწყებებისა და ყველა ინსტანციის სასამართლოს თანხმობით) კომპანიის კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ მცხეთისა და რუსთავის მოსახლეობას ნაკლებად გაუმართლა, რადგან მათთვის მიწოდებული წყლის ხარისხზე მსგავსი განცხადებაც კი არ მოიპოვება.

5.2 წყალმომარაგების სისტემაში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების წესი და პრაქტიკა

სემეკის მიერ დამტკიცებული[64] „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების" თანახმად, *„თუ გეგმიური სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება გამოიწვევს მომხმარებლისთვის სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტას, მომხმარებელს სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტისა და მისი ხანგრძლივობის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე მაინც (აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია მომხმარებლისთვის მიწოდებულ იქნეს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით) - მოცემული პირობის დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისად, უნდა მოხდეს სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის გადავადება".*

სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებას, მიუხედავად იმისა, ეს გეგმიური სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებია, თუ ავარიის სალიკვიდაციო, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მომხმარებლები, როგორც წესი, იმავე დღეს, ან უკეთეს შემთხვევაში, წინა დღეს იღებენ. ამას მოწმობს კომპანიის მიერ მასმედით გავრცელებული არაერთი განცხადება და კომპანიის ვებ-გვერდი. მაგალითისათვის მოვიყვანთ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მიერ 2011 სექტემბრის განმავლობაში გამოქვეყნებულ განხადებებს, რომლებიც კომპანიის ვებ-გვერდზეა განთავსებული სათაურით - „გადაუდებელი სამუშაოები".

სექტემბრის განმავლობაში 23 გამოქვეყნებული განცხადებიდან 22-შია შემდეგი სახის შეტყობინება: „"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" გაცნობებთ, რომ მობინადრეთა კერძო სახლებში მიმდინარეობს ინდივიდუალური გამრიცხველიანების სამუშაოები. ამ მიზეზით, დღეს, 21:00 საათამდე წყლის მიწოდება შეუწყდება..." რატომ არის მრიცხველების დაყენება გადაუდებელი სამუშაო და რატომ არ ხდება წყალმომარაგების შეწყვეტის შესახებ მოსახლეობის 10 დღით ადრე შეტყობინება - გაუგებარია.

გადაუდებელი სამუშაოების ჩამონათვალში ვხვდებით, ასევე, გეგმიური სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებებს. მრიცხველების დაყენებასთან დაკავშირებული შეტყობინებებისგან განსხვავებით, ასეთი ტიპის შეტყობინებები ერთი, ან ორი დღით ადრე ქვეყნდება. ასე მაგალითად:

[63] http://www.georgianwater.com

[64] სემეკის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილება

- 2010 წლის 2 სექტემბრის განცხადება: *„თბილისის წყალმომარაგების საიმედოობისა და სტაბილურობის გაზრდის მიზნით, კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" გეგმური ტექნიკური სამუშაოების ჩატარებას აგრძელებს. კომპანია ხვალ საღამოდან საპროფილაქტიკო სამუშაოების განხორციელებას ღრმაღელე-ვაზისუბნის წყალსადენის გვირაბზე შეუდგება. საპროფილაქტიკო სამუშაოების ჩატარების მიზნით, 3 სექტემბრის 21:00 საათიდან 4 სექტემბრის 21:00 საათამდე წყლის მიწოდება შეუწყდება...“*
- 2010 წლის 20 სექტემბრის განცხადება: *„"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" გაცნობებთ, რომ თბილისის წყალმომარაგების საიმედოობისა და სტაბილურობის გაზრდის მიზნით, კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" აგრძელებს გეგმური ტექნიკური სამუშაოების ჩატარებას. კომპანია ხვალ, 21 სექტემბერს, საპროფილაქტიკო სამუშაოების განხორციელებას სამგორის საფილტრო სადგურში დილიდან შეუდგება. საპროფილაქტიკო სამუშაოების ჩატარების მიზნით, 21 სექტემბრის 11.00-დან 22.00 საათამდე წყლის მიწოდება დროებით შეუწყდება....“*
- 24 და 26 სექტემბერს კომპანიამ გაავრცელა შემდეგი სახის განცხადება: *„თბილისის წყალმომარაგების საიმედოობისა და სტაბილურობის გაზრდის მიზნით, კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" გეგმური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას აგრძელებს. სამუშაოებს კომპანია აწარმოებს მასშტაბური პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „თბილისის ქუჩების წყალსადენისა და წყალარინების მაგისტრალური და ცენტრალური ქსელების რეაბილიტაცია“...“.*

5.3 მრიცხველები: დაუსრულებელი დავა...

2008 წლის 14 მაისს გაფორმებული თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების სისტემების ნასყიდობის ხელშეკრულების თანხმად, მყიდველი (ანუ „ჯორჯიან გლობალ უითილითის ლიმითედი“) ვალდებულია თბილისის ფარგლებში 2012 წლის მაისამდე კოლექტიური მრიცხველები დააყენოს კორპუსის ტიპის საცხოვრებელ შენობებში, ხოლო 2015 წლის მაისამდე მრავალბინიან სახლებში[65]. ასევე, მყიდველს ევალება 2015 წლისთვის მცხეთის მომხმარებლებისთვის კოლექტიური მრიცხველების დაყენება[66]. კომპანიამ ეს ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინვესტიციების ფარგლებში, ანუ საკუთარი ხარჯებით უნდა შეასრულოს.

ხელშეკრულება არაფერს ამბობს კომპანიის ვალდებულებაზე მომხმარებელთათვის ინდივიდუალური მრცხველების დაყენების თაობაზე. ხელშეკრულებაში მხოლოდ აღნიშნულია, რომ "*მომხმარებელს უფლება აქვს დაიმონტაჟოს ინდივიდუალური მრიცხველი, რომლის მიხედვითაც მოხდება მოხმარებული წყლის საფასურის დაანგარიშება; მომხმარებლების ყველა მრიცხველი უნდა დამონტაჟდეს „კომპანიის“ ან „საწარმოების“ მიერ განსაზღვრული პირების მიერ, მომხმარებლის დანახარჯი არ უნდა იყოს შესრულებული მომსახურების საბაზრო ღირებულებაზე მეტი.“*

2011 წლის გაზაფხულზე რუსთავისა და თბილისის მოსახლეობამ მოულოდნელად შეიტყო, რომ კომპანია, მომხმარებელთა სურვილის გაუთვალისწინებლად იწყებდა ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟებას; მომხმარებლები ვალდებულნი იყვნენ დაეფარათ მრიცხველის ღირებულება (100 ლარის ოდენობით). მრიცხველების დამონტაჟება კომპანიამ რუსთავიდან

[65] ხელშეკრულების 11.6.1 მუხლის (ი) პუნქტი

[66] ხელშეკრულების 11.6.3 მუხლის (ზ) პუნქტი

დაიწყო. გარდა იმისა, რომ მოსახლეობისთვის არასასიამოვნო და შემაშფოთებელი აღმოჩნდა ახალი ვალდებულება, სიტუაციას ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ „რუსთავის წყლის“ წარმომადგენლები მოსახლეობას პოლიციის თანხლებით ხვდებოდნენ. კომპანია მოქალაქეებს ატყობინებდა, რომ წინააღმდეგობის გაწევისა და ხელის შეშლის შემთხვევაში, “რუსთავის წყალი” უმკაცრეს ზომებს მიიღებდა[67].



№ D 23/03/12

ქ. რუსთავში, მე-16 მ/რ-ის მე-7 კორპუსის
მობინადრეებს,
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერთობის“
თავმჯდომარეს,
ქალბატონ მარინა რაზმაძეს

გაცნობებთ, რომ შპს „რუსთავის წყალი“ 2011 წლის 31 დეკემბრამდე ამორებს ქ. რუსთავის მოსახლეობის მთლიანად გამრიცხველიანებას. შპს „რუსთავის წყალი“ სასმელ წყალს მიაწოდებს მხოლოდ იმ საყოფაცხოვრებო მოხმარებელს, რომელიც დამონტაჟებული უქნება სასმელი წყლის მოხმარების ინდივიდუალური მრიცხველი.

„სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 27-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სასმელი წყლის მიწოდებულ საწარმოს – შპს „რუსთავის წყალს“ უფლება აქვს 2015 წლის 1 ივნისამდე საყოფაცხოვრებო მოხმარებლებს მოუწოს ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძი, მათ მორის, დაუდგინოს მრიცხველი.

მობინადრეები, რომლებსაც არ აქვთ ბინებში დამონტაჟებული სასმელი წყლის მრიცხველი, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მუხლებისად, ვალდებული არიან, გადაიხადონ მრიცხველის საფასური და მისი მონტაჟის ღირებულება, არა უმეტეს 100 ლარისა.

მობინადრეები, რომლებსაც ეპიდ დაფუძნებული აქვთ სასმელი წყლის მრიცხველები, გადაიხდიან მხოლოდ მრიცხველის საფასურსა და მისი მონტაჟის ღირებულებას – არაუმეტეს 30 ლარისა, თუ ამ მრიცხველების შემოწმებისას, დადგინდება მათი ვარგისიანობა, ხოლო თუ მრიცხველი აღმოჩნდება უვარგისი, მოხმარებელი გადაიხდის ახალი მრიცხველის საფასურსა და მისი მონტაჟის ღირებულებას, არა უმეტეს 100 ლარისა.

მობინადრეების მოთხოვნის შემთხვევაში, შპს „რუსთავის წყალი“ გადაუნაწილებს თითოეულ მოხმარებელს, მის მიერ გადასახდელ თანხას არანაკლებ 24 თვეზე. ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, გადანაწილებული თანხის დარიცხვას განახორციელებს აღრიცხვის კვანძის მოწყობიდან ექვსი თვის შემდეგ.

რომელმა მობინადრემაც მიიღო მოსანილობა შპს „რუსთავის წყლის“ მიერ 2010 წელს ჩატარებულ აქციაში და დაუყარა მასზე რიცხული დებიტორული დავალიანება, მისთვის განკუთვნილი მრიცხველის თვითღირებულებასა და მონტაჟის საფასურს გადაიხდის შპს „რუსთავის წყალი“.

გაცნობებთ, რომ შპს „რუსთავის წყალს“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „მეოხთან“, რომელიც აწარმოებს ქ. რუსთავში, მე-16 მ/რ-ის მე-7 კორპუსში მცხოვრები მოსახლეობის გამრიცხველიანების სამუშაოებს.

ზემოაღნიშნულ მისამართზე მცხოვრები ყველა მობინადრე, კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვალდებულია, სამუშაოს მიაყენოს შპს „მეოხს“, შეუფერხებლად აწარმოოს სასმელი წყლის მრიცხველების სანიტაჟო სამუშაოები.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ ქ. რუსთავში, მე-16 მ/რ-ის მე-7 კორპუსში მცხოვრები მოსახლეობის მთლიანი დებიტორული დავალიანება შპს „რუსთავის წყალის“ მიმართ შეადგენს 14769 ლარს.

შპს „მეოხი“ სამუშაოებს დაიწყებს 2011 წლის 24 მარტს 11 საათზე.
თქვენი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევისა და ხელის შეშლის შემთხვევაში, შპს „რუსთავის წყალი“ მიიღებს უმკაცრეს ზომებს.

შპს „რუსთავის წყლის“
ადმინისტრაცია

ფოტოების ავტორი: მანონ ბოკუჩავა

კომპანია განმარტავდა, რომ მრიცხველის იძულებით დამონტაჟების უფლება „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ სემეკის დადგენილებაით მიენიჭა. მოგვიანებით კი, როდესაც უკმაყოფილების ტალღა თბილისზეც გავრცელდა, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ განაცხადა, რომ კომპანია აქ არაფერ შუაში იყო და ეს ვალდებულება კომპანიას სემეკმა დააკისრა.

5.3.1 სემეკის დადგენილება

აღმოჩნდა, რომ 2010 წლის 17 აგვისტოს სემეკს მართლაც მიეღო დადგენილება “სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ” დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. ამის შესახებ საზოგადოებამ არა ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე შეიტყო (როგორც ამას კანონი მოითხოვს), არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც წყალმომარაგების კომპანიებმა ამ ცვლილებით მინიჭებული უფლების გამოყენება დაიწყეს.

[67] პატრულთან დამეგობრებული “რუსთაველების მოთმინების ფიალას ავსებს, 25 მარტი 2011, მანონ ბოკუჩავა, www.presage.tv

დადგენილებით, სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებში რამოდენიმე საკითხთან დაკავშირებული ცვლილება შევიდა. ცვლილებები ეხებოდა: (1) ურჩ გადამხდელთა მიმართ გასატარებელ სანქციებს; (2) წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის გამოთვლის წესს და (3) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მქონე მომხმარებლების და 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი საყოფაცხოვრებო კატეგორიის სხვა მომხმარებლების აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს - სწორედ ეს ღონისძიებები ითვალისწინებს წყლამომარაგების კომპანიებისათვის ინდუვიდუალური მრიცხველების დაყენების მინიჭების უფლებას.

მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის კოლეგიური საჯარო დაწესებულება, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი) წესის გამოყენებით. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება კი, ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებასა და ჩართვას. კერძოდ, სემეკი ვალდებულია:

1. გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;
2. გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ (მიუთითოს სად და რა დოკუმენტების გაცნობაა შესაძლებელი);
3. მიუთითოს დაინტერესებულ საზოგადოებას საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა;
4. სულ მცირე 7 დღით ადრე გამოაქვეყნოს საჯარო (ზეპირი) მოსმენის ადგილი და თარიღი.

სემეკმა 2010 წლის 17 აგვისტოს N 18 დადგენილება ისე მიიღო, რომ არცერთი ზემოჩამოთვლილი ვალდებულება შეუსრულებია. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით სემეკის ვებ-გვერდზე არ არის გამოქვეყნებული ის „უცნაური“ ცნობაც კი, რომელსაც ტრადიციულად ავრცელებს სემეკი ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას. განსახილველი დოკუმენტების გამოქვეყნებაზე, ისევე როგორც სემეკის ყველა სხვა გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საუბარი ზედმეტია. საკითხი ასევე არ არის შეტანილი საჯარო სხდომის დღის წესრიგში, რომელზეც უნდა მიღებულიყო გადაწყვეტილება[68]. ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ სემეკმა გადაწყვეტილება კანონის უხეში დარღვევით მიიღო, რაც გასაჩივრების შემთხვევაში, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდებოდა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებამ ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება, როდესაც ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა ის თავის მომხმარებლებს „გააცნო“.

საინტერსოა, რომ სემეკის გადაწყვეტილების თანახმად, „სასმელი წყლის მიმწოდებელ საწარმოებს უფლება აქვთ 2015 წლის 1 იანვრამდე:

ა.ა.) საკუთარი ხარჯით მოაწყონ მომხმარებლის ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძი (მათ შორის მრიცხველი), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს;

ა.ბ.) აღრიცხვის კვანძის მოწყობის ხარჯებიდან:

ა.ბ.ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მქონე მომხმარებელს დაარიცხონ მრიცხველის საფასური მისი შეძენის თვითღირებულებით და აღრიცხვის კვანძის მონტაჟის საფასური არა უმეტეს 70 ლარისა. ამასთან, მომხმარებლისათვის დარიცხული ხარჯების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს;

ა.ბ.ბ) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ მომხმარებელს დააარიცხონ მრიცხველის საფასური მისი შეძენის თვითღირებულებით და აღრიცხვის კვანძის მონტაჟის

[68] http://gnerc.org/index.php?m=692&sid=142

> საფასური არა უმეტეს 30 ლარისა. ამასთან, მომხმარებლისათვის დარიცხული ხარჯების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს“.

„უფლება აქვთ“ ამ შემთხვევაში მომხმარებელთათვის ნიშნავს ამ გადაწყვეტილების სავალდებულო მორჩილებას; წყლის მიმწოდებელი კომპანიისათვის კი ეს არ არის ვალდებულება - იმ შემთხვევაში თუკი, 2015 წლის 1 იანვრამდე კომპანია არ გამოიყენებს ამ უფლებას, ეს მას არაფრით ემუქრება. აქედან გამომდინარე, გაუგებარია რა მიზანი ჰქონდა ამ ვადის დაწესებას. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო თბილისსა და მცხეთაში საკუთარი ხარჯებით დაეყენებინა კოლექტიური მრიცხველები. სემეკის გადაწყვეტილებით მინიჭებული უფლების გამოყენებით თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების სისტემების მფლობელი კომპანია ფაქტიურად იხსნის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (რომლის შესრულებას გაურკვეველი მიზეზით არ ჩქარობდა საბოლოო ვადის მოახლოების მიუხედავად) - ინდივიდუალური მრიცხველების არსებობის პირობებში, კოლექტრიური მრიცხველების დაყენება აზრს არის მოკლებული.

თუ გავითვალისწინებთ რამდენად მომგებიანი იყო სემეკის ეს გადაწყვეტილება წყლის მომწოდებელი კომპანიებისათვის (განსაკუთრებით, თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყლამომარაგების კომპანიებისათვის) და რამდენად უსიამოვნოა (და ხშირ შემთხვევაში მძიმე) ახალი ფინანსური ვალდებულება მომხმარებელთა დიდი ნაწილისათვის, გასაგები ხდება რატომ მიიღო სემეკმა ეს გადაწყვეტილება საზოგადოებისაგან ფარულად.

5.4 მცხეთის წყალი - ვალდებულებების მუნიციპალიტეტზე გადაბარების მცდელობა

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „2008 წლის სექტემბრიდან, ქ. მცხეთის წყალმომარაგება უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება, განსხვავებით გასული წლებისგან, როცა მცხეთაში წყალმომარაგებაზე მკაცრი გრაფიკი იყო დაწესებული“. ამ განცხადებით კომპანია ხაზს უსვამს, რომ მცხეთის წყალმომარაგება მხოლოდ მას შემდეგ გაუმჯობესდა, რაც 2008 წლის 14 მაისს დადებული შეთანხმების საფუძველზე „მცხეთაწყალკანალი“ (ამჟამად „მცხეთის წყალი“) მის საკუთრებაში გადავიდა.



შ.პ.ს. "მცხეთაწყალკანალი"

ქ. მცხეთა, ღვინჭილიას ქ.№1

8 99 93 63 76
სამსახური 39 36

№ 21

17 აპრილი 2008წ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების
მინისტრის მოადგილეს პ-ნ ბოქროსთვარაძეს

ოქვენი სიდიდეო მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით შ.პ.ს. „მცხეთაწყალკანალი“-ს ბალანსზე და საწესდებო კაპიტალში ასახულ ნუსხას 01.01.08.წ. მდგომარეობით (სულ არაა : 2 ფურცლად)

ასევე მოგახსენებთ, რომ ქ. მცხეთა სასმელი წყლით მარაგდება 24 საათის განმავლობაში.

პატივისცემით
დირექტორი: /რ. მამულაშვილი/

საპირისპიროზე მეტყველებს საპრივატიზებო ხელშეკრულების დანართში წარმოდგენილი „მცხეთაწყალაკანალის“ დირექტორის რ. მამულაშვილის 2008 წლის 17 აპრილის წერილი, რომლის თანახმად, ქ. მცხეთა საწარმოს გაყიდვამდეც სასამელი წყლით 24 საათის განმავლობაში მარაგდებოდა.

თუკი წყალმომარაგების შემთხვევაში კომპანია მხოლოდ დამსახურების “მიწერას” ცდილობდა, წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის ვალდებულების თავიდან არიდებისათვის კომპანიამ კიდევ უფრო ნაკლებად კეთილსინდისიერ მეთოდებს მიმართა.

2011 წლის 28 აპრილს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (მგფ-მა) გამოაქვეყნა განცხადება[69], რომლის თანხმად, მსოფლიო ბანკის "რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის" დამატებითი დაფინანსების ფარგლებში ფონდი აპირებდა "მცხეთის კანალიზაციის და გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის” პროექტის დაფინანსებას. განცხადების თანახმად, მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხვნების შესაბამისად, უკვე მომზადებული იყო პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება და დაინტერესებულ მხარეებს შეეძლოთ დოკუმენტზე შენიშვნების წარდგება და საჯარო განხილვაში მონაწილეობა.

განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, პროექტი ითვალისწინებდა კანალიზაციის მთავარი გამყვანი კოლექტორებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების კომპლექსის მშენებლობას. პროექტის სათაურისა და დოკუმენტის ზოგიერთი ნაწილის თანახმად კი, ეს რეაბილიტაციის პროექტი იყო. რაც მთავრია, გაუგებარი იყო მცხეთის წყალარინების სისტემის (შპს „მცხეთის წყლის“ კერძო საკუთრების) მშენებლობისა თუ რეაბილიტაციის პროცესში მუნიციპალიტეტისა და მგფ-ის როლი. ყოველივე აღნიშნულის გასარკვევად მწვანე ალტერნატივამ მიმართა პროექტის საკონტაქტო პირს, მგფ-ს გარემოს დაცვის ანალიზისა და განსახლების განყოფილების გამგეს, ალექსანდრე დუმბაძეს და სთხოვა განემარტა: (1) პროექტი ითვალისწინებდა ახალი ობიექტის მშენებლობას თუ არსებულის რეაბულიტაციას და (2) ვინ იქნებობა კანალიზაციის მთავარი გამყვანი კოლექტორებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების კომპლექსის მესაკუთრე და ვინ გაუწევდა ექსპლუატაციას პროექტის დასრულების შემდეგ. პროექტის საკონტაქტო პირმა მწვანე ალტერნატივას განუმარტა, რომ იგეგმებოდა მთავარი გამყვანი კოლექტორებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების კომპლექსის მსენებლობა, ხოლო საკუთრების საკითხი მისი კომპეტენცია არ იყო, თუმცა მისი ინფორმაციით აშენებული ობიექტის მესაკუთრე მცხეთის მუნიციპალიტეტი იქნებოდა.

მწვანე ალტერნატივას იმედოვნებდა, რომ პროექტის გარემოზე ზემოქმდების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვაზე მაინც შეძლებდა მეტი განმარტებების მიღებას.

5.4.1 საჯარო განხილვა

საჯარო განხილვა ჩატარდა ქ. მცხეთის გამგეობის შენობაში. არც შენობის ფასადზე და არც შენობაში არ იყო გამოკრული განცხადება/მითითება საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ. შენობის დაცვა არ იყო გაფრთხილებული შეხვედრის თაობაზე და შენობაში შეშვებაზეც კი უარს ამბობდა. შეხვედრის დაწყებამდე დასწრების მსურველების აშკარა დეფიციტი იგძნობოდა; მწვანე ალტერნატივასა და მისი პარტნიორი ორგანიზაცია - საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაციის წარმომადგენლები ნახევარი საათის განმავლობაში ცარიელ ოთახში ელოდნენ შეხვედრის დაწყებას. მას შემდეგ რაც შეხვედრის ორგანიზატორებისათვის ცნობილი გახდა შეხვედრის დაწყების მომლოდინეთა ვინაობა, ოთახი პერატიულად შეივსო საგანგებოდ მოწვეული გამგეობის თანამშრომლებით. შეხვედრა თავად მცხერთის გამგებელს მიჰყავდა.

[69] http://24saati.ge/index.php/tenders/view/9337

როგორც საჯარო განხილვაზე გაირკვა, პროექტის განხორციელება იგეგმებოდა შპს „მცხეთის წყალის“ თანამონაწილეობით და თანადაფინანსებით. კერძოდ, როგორც ქ. მცხეთის გამგებელმა განმარტა, „მცხეთის წყალი“ პასუხისმგებელი იქნებოდა კოლექტორების მშენებლობაზე, ხოლო მცხეთის მუნიციპალიტეტი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაზე. მშენებლობის პროცესში გამწმენდი ნაგებობა მუნიციპალიტეტის საკუთრება იქნებოდა, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცემოდა „მცხეთის წყალს“, რომელიც პასუხიმგებელი იქნებოდა მისი ქონების ექსპლუატაციაზე, ხოლო მუნიციპალიტეტი მსოფლიო ბანკიდან აღებული ვალის მომსახურებაზე.

პროექტორის ჩართვასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების გამო ვერ მოხდა პროექტის პრეზენტაცია. ამასთან, ორგანიზატორებმა განხილვაზე დამატებით წარმოადგინეს დოკუმენტი რომელშიც პროექტის მნიშვნელოვნად განსხვავებული მაჩვენებლები იყო წარმოდგენილი. მწვანე ალტერნატივას ერთადერთ შენიშვნაზე, რომ განხილვებისთვის წარმოდგენილი გზშ-ის დოკუმენტით საზოგადოებისათვის ფაქტიურად შეუძლებელი იყო პროექტის არსის გაგება, მდფ-ის თანამშრომლებმა განმარტეს, რომ უკვე არსებობდა დოკუმენტის ახალი ვერსია, რომელშიც ყველა ხარვეზი გამოსწორებულია. ამით დამთავრდა პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვა. მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვის ანალიზისა და განსახლების განყოფილების თანამშრომლები დაპირდნენ მწვანე ალტერნატივას, რომ ორგანიზაციას ექნებოდა განახლებულ დოკუმენტზე კომენტარების წარდგენის შესაძლებლობა. მართლაც, მწვანე ალტერნატივამ მგფ-დან მიიღო დოკუმენტის განახლებული ვერსია და შენიშვნების „უმოკლეს ვადაში“ წარდგენის თხოვნა (რადგან როგორც შეხვედრაზე განმარტეს მგფ-ის წარმომადგენლებმა დოკუმენტი სასაწრაფოდ უნდა გაგზავნილიყო სანებართვო დოკუმენტაციის მოსაპოვებლად).

5.4.2 პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების „განახლებული“ ანგარიში

იმისათვის, რომ მკითხველს წარმოდგენა შეექმნას პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ხარისხზე, ქვემოთ გთავაზობთ იმ კომენტარებს რომელიც მწვანე ალტერნატივამ წარუდგინა მუნიციპალური განვითარების ფონდს დოკუმენტის[70] შინაარსთან დაკავშირებით.

საჯარო განხილვებისთვის წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტით საზოგადოებისათვის ფაქტიურად შეუძლებელი იყო პროექტის არსის გაგება: დოკუმენტის შესავალში (მე-5 გვ.) ორ წინადადებაში წარმოდგენილი იყო მაქსიმალურად ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ: *„წინამდებარე შეფასება მოიცავს ქალაქ მცხეთის კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციას და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას..... პროექტით დაგეგმილია ქ. მცხეთაში, მდ. არაგვისა და მტკვრის შესართავის მიმებარე ტერიტორიაზე გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, აგრეთვე საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. ვინაიდან მცხეთის მოსახლეობა 12 000-ს შეადგენს, პროექტიც გათვლილია ამ რაოდენობის მომხმარებელზე“*. იგივე მდგომარეობა იყო მწვანე ალტერნატივასათვის მოწოდებულ დოკუმენტის განახლებულ ვერსიაში.

დოკუმენტის მომდევნო 32 გვერდი გაურკვეველი მიზნით ეთმობოდა საქართველოს

[70] პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე:
http://aarhus.ge/uploaded_files/ccf76b623e54124c67d0c868634b201684ca2bc3331f3ecf7af86603c17b1bb9.doc

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის (მიუხედავად იმისა ეხება თუ არა პროექტს) მიმოხილვას. ამასთან არ იყო წარმოდგენილი „საკანონმდებლო და კანონქვემდებარე მარეგულირებელი საპროექტო გადაწყვეტათა შემუშავების პროცესში გამოყენებულ დოკუმენტების ჩამონათვალი, აგრეთვე მეთოდური და ტექნიკური ლიტერატურის მიმოხილვა“, როგორც ამას ითხოვს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 9 მარტის N 8 ბრძანებით დამტკიცებული “გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ” დებულება. <u>იგივე მდგომარეობა იყო მწვანე ალტერნატივასათვის მოწოდებულ დოკუმენტის განახლებულ ვერსიაში.</u>

პროექტის არსის შესახებ ინფორმაცია არც დოკუმენტის შემდეგ თავშია (2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა და ტექნიკური გადაწყვეტები) წარმოდგენილი, რომელიც სათაურიდან გამომდინარე უნდა შეიცავდეს დაგეგმილი საქმიანობის და ტექნიკური გადაწყვეტების აღწერას. მე- 2 თავის შესავალში აღნიშნულია: *„შპს ,,მუნიციპალპროექტის“ მიერ დამუშავებული პროექტი ,,ქ.მცხეთის კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია“ შესრულებულია 2010 წელს შპს ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (ხელშეკრულება GOG/IBRD/C/D029-2010). პროექტი ითვალისწინებს კანალიზაციის მთავარი გამყვანი კოლექტორებისა (კოლექტორი ,,ა“ და ,,ბ“ - საერთო სიგრძით 1838მ.) და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების კომპლექსის მშენებლობას“.* თავის მეორე ნაწილი კი ორ აბზაცში აღწერს წყალსადენის და კანალიზაციის არსებულ მდგომარეობას. დოკუმენტის განახლებულ ვერსიაში ზემოთმოყვანილ ინფორმაციასთან ერთად აღნიშნულია, რომ მოხდება *„რამდენიმე არსებული კოლექტორის აღდგენა. პროექტი არ ითვალისწინებს ძველი ინფრასტრუქტურის ელემენტების დაშლას და გატანას“*. გაუგებარი იყო იგულისხმებოდა „ა“ და „ბ“ კოლექტორების ქვეშ, სად და რა ტექნიკური გადაწყვეტების გამოყენებით მოხდება კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

<u>საჯარო განხილვისთვის წარმოდეგნილ დოკუმენტში პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობაც კი არ იყო მითითებული.</u> დაახლოებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ <u>საჯარო განხილვაზე დამატებით წარმოდგენილი</u> დოკუმენტიდან (როგორც საჯარო განხილვის ორგანიზატორებმა განმარტეს წარმოდგენილი დოკუმენტი იყო პროექტის ტექნიკური რეზიუმე), სადაც აღნიშნული იყო, რომ პროექტი ხორციელდება ქ. მცხეთაში ახალ ავტოსადგომსა და მდ. არაგვს შორის არსებულ ტერიტორიაზე. იგივე სახის ინფორმაცია გაჩნდა დოკუმენტის განახლებულ ვერსიაში.

დოკუმენტის განახლებული ვარიანტის მე-3 თავის („საქმიანობის განთავსების რეგიონის (მდ. არაგვის აუზის) გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა“) შესავალში გაჩნდა ჩანაწერი: *„პროექტი ხორციელდება ქ. მცხეთაში ახალ ავტოსადგომსა და მდ. არაგვს შორის არსებულ ტერიტორიაზე. <u>უახლოესი მოსახლე მომავალი გამწმენდი ნაგებობის ადგილმდებარეობიდან დაშორებულია ~ 300მ, რაც გამორიცხავს მასზე ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურის რაიმე სახის მავნე ზემოქმედებას.</u>*“ გაუგებარი დარჩა რით იყო გამყარებული აღნიშნული მტკიცება.

აღსანიშნავია, რომ დოკუმეტში არ იყო წარმოდგენილი არც გამწმენდი ნაგებობის განთავსების ალტერნატივები და არც კონკრეტული ადგილის შერჩევის დასაბუთება. ხოლო გზშ-ის დოკუმენტის განახლებულ ვერსიაში ვკითხულობთ შემდეგი შინაარსის დასაბუთებას ალტერნატივების განუხილველობის დასაბუთებისათვის: *„ალტერნატიული ვარიანტების განხილვა შეზღუდული იყო იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ პროექტი გულისხმობს არსებული სისტემის რეაბილიტაციას და, შესაბამისად, და მილსადენების მარშრუტების ან ობიექტების ადგილის შერჩევის ალტერნატივებია არ არსებობდა. სატუმბი სადგურებისათვის ადგილი უნდა შერჩეულ ყოფილიყო ერთგვაროვანი ურბანული ლანდშაფტის ფარგლებში და აქ გადამწყვეტი აღმოჩნდა თვით არსებული*

საკანალიზაციო ქსელის სივრცული განლაგება და ჰიდრავლიკური მახასიათებლები. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით არ არსებობდა რაიმე არგუმენტი ამ ადგილების შერჩეული ვარიანტების უარსაყოფად. ძირითადი ტექნიკური ალტერნატივა დაკავშირებულია გამწმენდი ნაგებობის ადგილს შერჩევასა და ტექნოლოგიურ სისტემასთან. ეს საკითხები ცალკე პროექტის და შესაბამისი გზშ-ს ფარგლებში არის განხილული“ - გაუგებარია, რა „ცალკე პროექტზე და გზშ“-ზე იყო საუბარი.

თავის 5. მცხეთის რაიონის კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები - წარმოდგენილი იყო ნახევარგვერდიანი ინფორმაცია (ძირითადად ცხრილების მეშვეობით) და არაფერი იყო ნათქვამი პროექტთან მიმართებაში. მაგალითად, არ იყო განხილული ქარის ფაქტორი განსახორციელებელ საქმიანობასთან მიმართებაში სუნის გავრცელების თვალსაზრისით.

თავი 7.2-ში მდ. არაგვის წყალში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციების საილუსტრაციოდ წარმოდგენილი იყო ერთი წლის წინანდელი (2010 წლის სექტემბრის) მონაცემები. ხოლო მე-8 თავში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის სადემონსტრაციოდ გამოყენებული იყო „სავარაუდო“ მონაცემები.

როგორც აღვნიშნეთ, საჯარო განხილვითვის წარმოდგენილ დოკუმენტში და დოკუმენტის განახლებულ ვერსიაში წარმოდგენილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მნიშვნელოვნად განსხვავებული პარამეტრები. ამასთან განახლებულ ვერსიაში ტექნოლოგიური ციკლი ფაქტიურად აღარ იყო წარმოდგენილი და გაჩნდა არაფრის მომცემი ფერადი ილუსტრაციები.

არც საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილ დოკუმენტში და არც დოკუმენტის განახლებულ ვერსიაში არ იყო შეფასებული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების გავლენა ადგილობრივ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, შესაბამისად არ იყო წარმოდეგნილი ზემოქმედების შემსუბუქების ღონისძიებები.

განსაკუთრებით საინტერესო ჩანაწერი იყო თავი 26-ში. *„საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა“*. იქ სადაც მოცემული უნდა ყოფილიყო ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ იყო საზოგადოება ინფორმირებული პროექტის შესახებ და როგორ იქნა შესაწავლილი მათი დამოკიდებულება პროექტისადმი, მოცემული იყო შემდეგი სახის ინფორმაცია:
„საქართველოს კინსტიტუციის 37 მუხლის მიხედვით საქართველოს მოქალაქეს აქვს შემდეგი ხელშეუვალი უფლებები:

- *საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს;*
- *ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.*

აღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის შესახებ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, მოსახლეობას მისთვის ხელმისაწვდომ ფორმაში (პროექტის არატექნიკური რეზიუმე) მიეწოდება ობიექტური, სწორი და სრულყოფილი ინფორმაცია, რათა გამოირიცხოს კონფლიქტური სიტუაციების საფუძველი და უზრუნველყოფლი იქნას დაინტერესებული მხარეების ურთიერთობის განვითარების პროცესი“.

5.4.3 კომპანიის მცდელობამ ამჯერად არ გაამართლა

„ქ. მცხეთის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის" პროექტთან დაკავშირებით მწვანე ალტერნატივამ თავისი (ზემოაღწერილი) მოსაზრებები მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად მსოფლიო ბანკსაც გაუგზავნა. გარდა აღნიშნულისა, ორგანიზაცია შეშფოთებას გამოთქვამდა პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მწვანე ალტერნატივა მიუთითებდა, რომ შპს „მცხეთის წყალი" წარმოადგენს კერძო კომერციულ სტრუქტურას, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ქ. მცხეთის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ერთიანი სისტემის გამართული ფუნქციონირება. შპს „მცხეთის წყალი" (ყოფილი მცხეთაწყალკანალი) 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენს შვეიცარული კომპანია „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედის" (ამჟამად„ჯორჯიან გლობალ უთილითის ლიმითედი") საკუთრებას, რომელმაც ყიდვის მომენტში აიღო ვალდებულება, რომ საწარმოების განვითარების მიზნით განახორციელებდა 220 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას. აღნიშნულის გათვალისწინებით გაუგებარი იყო, რატომ გამოყოფდა მუნიციპალური განვითარების ფონდი (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დახმარებისათვის შექმნილი ფონდი) თანხას კერძო კომერციული კომპანიისათვის გადასაცემი ქონების მშენებლობისათვის, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ვალის მომსახურება მუნიციპალიტეტს უნდა უზრუნველეყო.

პროექტის გარემოზე ზემოქმდების შეფასების დოკუმენტის, დოკუმენტის საჯარო განხილვის ორგანიზების პროცესისა და პროექტის განხორციელების დაფინანსების თაობაზე მწვანე ალტერნატივამ შენიშვნები გარემოს სამინისტროსაც გაუგზავნა და მოითხოვა პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადებისათვის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა. პასუხად, 2011 წლის 22 ივლისს მწვანე ალტერნატივამ მიიღო გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის, დავით იოსელიანის წერილი, რომლითაც ის ორგანიზაციას ატყობინებდა, რომ სამინისტრო ეთანხმებოდა წარდგენილ შენიშვნებს და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემთხვევაში ორგანიზაცია ჩართული იქნებოდა პროცესში. როგორც ჩანს, მუნიციპალური განვითარების ფონდმა გადაიფიქრა „მცხეთის წყლის" სასარგებლოდ ქველმოქმდება, რადგან პროექტი სანებართვოდ აღარ წარდგენილა.

6. დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენი კვლევა და ამ დრომდე ჩატარებული მონიტორინგი იძლევა საფუძველს, გავაკეთოთ შემდეგი მთავარი დასკვნა - სახელმწიფოს მიერ თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყალმომარაგების სისტემების პრივატიზების შედეგად, უხეშად ილახება მოქალაქეებს წყალმომარაგების სისტემებისა და სასმელი წყლის ხარისხის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება. საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს მთავრობამ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და ქ. თბილისის მთავრობამ უფლება მისცა გამოუცდელ და საიდუმლოებით მოცული წარმომავლობის მქონე კერძო კომპანიას, საზოგადოებასთან ყოველგვარი ანგარიშვალდებულების გარეშე, იზრუნოს საკუთარ კომერციულ ინტერესებზე.

ანგარიშში აღწერილი ფაქტები, ასევე ცხადყოფს, რომ სრულიად უგულვებელყოფილია მოქალაქეების მონაწილეობის უფლება ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელთაც უშუალო ზემოქმდება აქვთ მათი წყალზე უფლებით სარგებლობის შესაძლებლობებზე. ხშირ შემთხვევაში, მოქალაქეებისათვის არათუ გადაწყვეტილების მიიღების პროცესია დახურული, არამედ თავად გადაწყვეტილებაა გასაიდუმლოებული.

ანგარიშში მოყვანილი შემთხვევების ანალიზისას, თვალშისაცემია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - მოქალაქეების ამ უფლებების შელახვა არა ერთეული შემთხვევების, არამედ სისტემური ხასიათის პრობლემაა და აშკარად მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ არამარტო სახელმწიფო უწყებებმა, არამედ ქვეყნის ყველა ინსტანციის სასამართლომ (საქართველოს სახელით მიღებული გადაწყვეტილებებით) მწვანე ალტერნატივას უარი უთხრა წყალმომარაგების სისტემებისა და სასმელი წყლის ხარისხის შესახებ ინფორმაციის გადაცემაზე. რთულია ამ პრაქტიკის კონკრეტული მიზეზების შესახებ მსჯელობა, მაგრამ საფუძვლები, ალბათ, ზოგადად ქვეყაში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებში უნდა ვეძიოთ. სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, ქვეყნის მოქალაქეების უფლებების შელახვის ფასად, ბუნებრივი მონოპოლიის მფლობელის არარსებულ კონკურენტუნარიანობაზე ზრუნვა, შესაძლოა, ე.წ. „ელიტური“ კორუფციის დაფარვის მცდელობადაც კი განვიხილოთ.

მიგვაჩნია, რომ წყალზე ადამიანის უფლების დაცვისა და ზოგადად, გამჭირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის დამკვიდრების პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფომ, ანგარიშში აღწერილი შემაშფოთებელი სიტუაციის გამოსწორებისათვის, უნდა გაატაროს რიგი ღონისძიებებისა, მათ შორის:

1. უნდა გადაიხედოს საჯარო უწყებების მიერ საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის პრაქტიკა; აღმოიფხვრას ნებისმიერი მოთხოვნის პასუხად საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებაზე ბრმა თანხმობის მიცემის დამკვიდრებული პრაქტიკა;

2. საჯარო უწყებებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება - ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელონ გასაიდუმლოებული დოკუმეტის კომერციულ ღირებულებაზე და შეადარონ ინფორმაციის გასაიდუმლოებითა და გაცემით გამოწვეული ზიანი;

3. სახელმწიფო უწყებებმა, უნდა დაიცვან საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების კანონით დადგენილი წესი; გასაიდუმლოებული დოკუმენტის გონივრულ ფარგლებში გამოცალკევებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა ქვეყნდებოდეს;

4. უნდა გადაიხედოს ნასყიდობის ხელშეკრულების მუხლით ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოების პრაქტიკის კანონიერება;

5. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს საჯარო მოხელეებისა და მოსამართლეების ცოდნის გაღმავება გარემოს დაცვის საფუძვლებში და გარემოსდაცვით სამართალში;

6. ქვეყანაში წყალზე ადამიანის უფლების რეალიზების შესაძლებლობების შექმნისათვის, სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-15 ზოგად კომენტარში განხილული ღონისძიებების გასატარებლად.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ენერგეტიკა - მოპოვებითი მრეწველობა - კლიმატის ცვლილება; ტრანსპორტის სექტორის მდგრადი განვითარება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და სატყეო სექტორი, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა; ნარჩენებისა და წყლის მართვა. ამ თემატური მიმართულებების გარდა, მწვანე ალტერნატივას პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობა; ინფორმაციაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესებსა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველოფა; გარემოსდაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტრუმენტების გაუმჯობესება; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის და საქართველოსთვის გაწეული საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრია. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. დაარსების დღიდან ასოციაცია არის „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის“ წევრი; ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს დედამიწის მეგობრების საერთაშორისო ფედერაციასთან, „კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან“, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან; მწვანე ალტერნატივა არის კოალიციის “გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის” წევრი, რომელიც დაარსდა 2008 წელს. 2010 წელს მწვანე ალტერნატივა ინიციატივით დაფუძნდა „საქართველოს მწვანე ქსელი“ - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია დაიცვას გარემო, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განხორციელებული წარმატებული საქმიანობისათვის.